ოთხშაბათი, 1918 წ. იანვარის 31 (13) № 25

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 1918 წ. იანვარის 31 (13) № 25

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორკეცი მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მახამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დ ღ ე ს:

### ცნობები:

პეტროგრადში ხმები დადის: ბერლინში და ვენაში მუშათა საბჭოები შესდგაო და ვილჰელმის სასახლისათვის ყუმბარა უსვრიათ.—დონის მთავრობა თებერვლის 4-სათვის ყაზახთა ყრილობას იწვევს.—

თბილისის მილიციის უფროსად პოლკოვნიკი კონიაშვილი დანიშნეს.

### წერილები:

**ზ. ქ.** ანარქია სოფლად.

**ამ-ბერი.** ილორის ბედი.

**ივ. ჯავახიშვილი.** სული ახალის საქართველოსი.

სიტყვები ქართულ უნივერსიტეტის გახსნაზე წარმოთქმული.

---

ეკატერინე ნოშრევანის ასული შვილებით: ალექსანდრე, შალვა და ბაგრატ ჩიქოვანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის ძვირფას ქმრის და მეორეთა დაუვიწყარ მამის

**ილია იოსების ძის**

**ჩიქოვანის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

დაკრძალვა ხუთშაბათს, სოფ. ქვემო ხანდაკში.

1—995—1

---

ანნა ილიას ასული და გიორგი დავითის ძე გაბაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს პირველის საყვარელი მამა და მეორის სიმამრის

**ილია იოსების ძის**

**ჩიქოვანის**

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა თებერვლის 1 ლს. სოფ. ქვემოხანდაკში.

(1—995—1)

---

ეკატერინე იოსების ასული კარგარეთელი შვილებით: ვანო, არჩილ, ნინა და ელენე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას, პირველის დაუვიწყარი ძმა და მეორეების ბიძა

**ილია იოსების ძე**

**ჩიქოვანის**

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 1 თებერვალს სოფ. ქვემოხანდაკში.

1—995—1

---

ივანე მათეს ძე, ანნა გიორგის ასული და დედა ბარბარე იოსების ასული შვილებით დეკანოზიშვილები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას, პირველთ ბიძის და მეორენი ძმის

**ილია იოსების ძე**

**ჩიქოვანის**

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 1 თებერვალს სოფ. ქვემოხანდაკში.

1—995—1

---

**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე**

---

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

---

გიორგი იოსების ძე ჩიქოვანი და მეუღლე მელანია ილიას ასული შვილებით: ლევანი, რევაზ, თამარი და სხვანი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტრაღიკულათ გარდაცვალებას, პირველის ძმა, მეორესი მაზლი და დანარჩენების ბიძა

**ილია იოსების ძის**

**ჩიქოვანის**

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 1 თებერვალს სოფ. ქვემოხანდაკში.

1—995—1

---

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის**

**მთავარი კომიტეტი**

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართული სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

**ოთხშაბათს, საღამოს 5 საათზე, მთავარ კომიტეტში დანიშნულია.**

**ეროვნულ-დემოკრატ**

**სტუდენტთა კრება**

**ოთხშაბათს 31 იანვარს 7 საათზედ**

დანიშნულია სამეურნეო ბანკის თბილისის

**მეორე რაიონის**

წევრთა კრება, გთხოვთ ყველას დაესწროთ.

**კრების საგანი:**

ა) მოხსენება კონფერენციის შესახებ.

ბ) მიმდინარე მომენტი.

გ) არჩევნები რაიონის კომიტეტის თავმჯდომარისა და რამდენიმე სხვა წევრთა.

2—2

---

**ექიმი**

**დიმიტრი (რამინ) იოსების ძე**

**ჟორდანია**

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიღუბე.

თ—960—9

---

**დოქტორი ქალი კაციასა**

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

---

სამკურნალო კაბინეთი ექიმ

**ალექსანდრე დავითის ძის**

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

---

**ექიმი**

**მ. ო. ზანდუკელი**

ასსისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინისა.

იღებს შინაგან და ნერვების ავადმყ. (ფსიხოტერაპია) სამშაბათობით, ოთხშაბათ., ხუთშაბ. და პარასკევ. 3—5 საათ. ოლღას ქუჩა № 22.

თ—989—3

---

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის

**დოქტორი**

**გ. გ. მეჰრაბიანცი**

შინაგან ავადმყოფობა — ფილტვის— ელექის და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დარსენვალისა შინაგანის სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 6—92.

თ—986—3

---

**სამკურნალო კაბინეთი**

**პ. ს.**

**ფონ-ირტელისა**

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილისით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩიდან.

თ—920—29

---

**ექიმი**

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. უნივერსიტეტის ქუჩა № 41

ტელეფონი № 15—09

---

**კბილის ექიმთა**

**მამულაიშვილი-ხოდნევისა**

**გ ა ნ ა ა ხ ლ ა**

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—8 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—323—70

---

**სახელმწიფო თეატრი**

**დღის წარმოდგენა.**

კვირას, 4 თებერვალს, 1918 წ. ქართულ ოპერეტის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი აზიური ოპერეტა

**არშინ-მალ-ალან**

ოპერეტა 4 მოქმ. გაჯიბეგოვისა, თარგ. გუგუშვილისა.

**მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სულთან-ბეგი | ვასო აბაშიძე. | თელი | ნ. ჯაგახიშვილი |
| აზია | ტასო აბაშიძე. | გულჩორა | ც. ამირეჯიბი. |
| ასკარა | ალ. იმედაშვილი. | სულეიმანი | ნ. ჩაგუნავა. |
| ხალა | ე. ჩერქეზიშვილი | ველი | ი. გუნიძე. |

**იკერება საკუთარი ტანისამოსი.**

დასაწყისი შუადღის ხრულ 12 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

2—994—1

გამგე გ. იორდანიშვილი.

---

წარმოდგენა № 19.

**კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის**

**სახალხო სახლი**

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმართვ. წრის სცენის მოყვარეთა მიერ

ხუთშაბათს 1 თებერვალს 1918 წ.

**ბენეფისი რეჟისორ კ. შათირიშვილისა**

**№ 21 ✚**

**ნომერი ოცდაერთი ჯვრით**

დრამა 4 მოქ. ია ეკალაძისა. მოქმედება სწარმოებს 1907 წ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, შარვაშიძე, ლაშვილი, ნინოხი, ნ. გოცირიძე, მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ს. რომანიშვილი, სალაყაია, თაყდგირიძე, გ. ჯაბაური, ამბ. ივერიელი, ვ. კობახიძე, ალ. შანშიაშვილი და ნ. ჭანკვატაძე.

დასაწყისი საღამოს 7 საათ. ✦ ადგილების ფასი 3 მ. 90 კ. 10 კაპ.

შემდეგი წარმოდგენა 4 თებერვალს.

რეჟ. კ. შათირიშვილი.

რეჟ. თანაშემწე ალ. ბაქრაძე.

2—901—1

ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

---

## ანარქია სოფლად

როგორც მოსალოდნელი იყო ანარქიულმა თვითნებობამ ბოლო დროს ქართულს სოფელშიც იჩინა თავი. ეს გამოიწვია ერთის მხრით ამიერ-კავკასიული მთავრობის ავტორიტეტის სრულმა დაცემამ, მეორეს მხრით ადვილ ახსნილ ჯარისკაცების შინ დაბრუნებამ. ზოგიერთი შეუგნებელი გლეხი აღარ კმაყოფილდება ტყეების გაკაფვას, ვაზისა და ხეხილის აჭრას, სახნავ-სათესი ადგილების მითვისებას: შუაქართლში უკანასკნელ დროს იყო შემთხვევები უსაზარლესი ფიზიკური ძალადობისა, რამაც რამდენიმე უდანაშაულო ადამიანის და ბავშვის სიცოცხლე შეიწირა.

რევოლუციის დროს ყოველგვარი ფსიხოზი გადამდები სენის სისწრაფით ვრცელდება და თუ ამთავითვე სასტიკი ზომები არ იქმნა მიღებული, ნიჩბისისა და სასხორის ამბები სხვაგანაც განმეორდება და ანარქია თუ სამოქალაქო ომი საზოგადო მოვლენად იქცევა. ეს კი ყველაზე მეტად უმამულო და მცირემამულო გლეხობისთვის იქნება საზარალო, მიტომ რომ ანარქიას ჩვეულებრივ რეაქცია მოსდევს და თუ საქართველომაც ამ გზით იარა ქართველ გლეხს ბედაპრული მებადურის მსგავსად, თავისუფლების ოცნებიდან საბოლოოდ არაფერი დარჩება გარდა გატეხილი ვარცლისა.

დღეს სამწუხაროდ აბირებულს მდგომარეობაში ვიმყოფებით: გვიხდება იმ ერთი ზოგადი ჭეშმარიტების დაცვა, რაც სხვა დროს თავისთავად იგულისხმება. თუ თბილელ მთავრობას თავისი საკუთარი ავტორიტეტის და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება აინტერესებს, სასტიკად უნდა დასაჯოს დარბევისა, ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობის ინიციატორები. სისხლის სამართალი უნდა არსებობდეს ყოველგვარ ბოროტმოქმედებისათვის, თუნდაც ეს ბოროტმოქმედება თავისუფლებისა და ძმობის სახელით იყოს ჩადენილი.

მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ სისხლის სამართალი და პოლიციური ზომები არ კმარა, რომ სოფლად წესრიგი დამყარდეს. საჭიროა, რომ ენერგიულ ადმინისტრატიულ ღონისძიებასთან ერთად მთავრობამ ფართო რეფორმატორული მოღვაწეობაც აწარმოოს, რათა საფუძველი გამოაცალოს გლეხის უკმაყოფილებას და თვითნებობას. რევოლუციამ გლეხს მადა გაუღვიძა და ის არ დაცხრება, სანამ ამა თუ იმ გზით მიწას არ მიიღებს. მთავრობის სიბრძნე იმაში იქნება, რომ მან ეს მადა-გახსნილი წოდებაც დააკმაყოფილოს და ყოფილი მემამულეებიც ღვთის ანაბარა არ დასტოვოს ქუჩაში. საჭიროა აგრეთვე, რომ მთავრობამ დეცენტრალიზებულ სახელმწიფო ხაზინისთვისაც იზრუნოს.

ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით როგორც მსხვილი ლატიფუნდიების, ისე საუფლისწულო, საეკლესიო თუ სამონასტრო მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა, მაგრამ ამასთან ერთად იმ აზრს ვადექით, რომ ყოვლად შეუძლებელია უფასოდ მიწის დარიგება. მოვლენათა განვითარებამ გაამართლა ჩვენი შეხედულება. გლეხობის ხელში დიდძალი ქაღალდის ფული დაგროვდა, ხაზინა კი დაცარიელებულია და მთავრობა ბოლო დროს ჯამაგირებსაც ვეღარ იძლევა თავის დროზე. ასეთ პირობებში ყოველგვარი პოლიტიკური ქველმოქმედება უაზრო თვითმკვლელობა იქმნებოდა. ცხადია, რომ საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მამულები მთავრობამ უნდა გაჰყიდოს, რათა სოფლიდან გამოსწუროს ზედმეტი ქაღალდის ფული, რო-

მელიც ...ლებობისთვის თავისთავად დღეს თითქმის ადარავითარ ღირებულებას აღარ წარმოადგენს.

მაგრამ ამასთან ერთად მთავრობამ უნდა გააუქმოს ის უსამართლო დეკრეტები, რომლის ძალით მემამულეებს მიწის გაყიდვა ეკრძალება. ერთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც რევოლუცია დაიწყო: ამ ხნის განმავლობაში სოციალისტურმა მთავრობამ კანონმდებლობის გზით ვერ მოაწყო მსხვილი მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია; ეხლა დროა ამ სფეროში თავისი თავის უძლურება აღიაროს და თვით მემამულეებს მიანდოს ზედმეტი საკუთრების მოშორება, რომელიც მათთვის მუდმივი შიშისა და უბედურების წყაროდ იქცა. თბილელი მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ადებმიცემობის პროცესი უფრო უმტკივნეულოდ მოსპობს მსხვილ ლატიფუნდიებს, ვიდრე ეს ლენინის მიერ გამოცემულმა დეკრეტებმა ან კიდევ ლენინის მიერ გარეკილმა უდლეურმა დამფუძნებელმა კრებამ ჰქმნა. ხოლო თუ ამ პროცესს კიდევ რაიმე გადაურჩა, მას ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ უნდა მოუაროს და არა სომხურ-თათრულ-ქართულმა კომისარიატმა.

ბ. ქ.

## ილორის ბედი

როგორც დანამდვილებით ვიცით, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ ყველა სამურზაყანოელები იცნო ქართველებათ და, მაშასადამე, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წევრებათ, გარდა ორის სოფლისა: ბედიის და ილორისა. პირველზე აქ არას ვიტყვით, ხოლო მეორე სოფლის შესახებ გაზ. „საქართველოში“ სიტყვის ჩამოგდების სურვილი აღმიძრა და უფლებაც მომცა ბატონი ზ. ედილის წერილმა: „შავი ზღვის სანაპიროებზე (მეზავრის შთაბეჭდილებანი“).

პატივცემული ზ. ედილი ილორს მიაწერს აფხაზეთს და არა სამურზაყანოს. ის ბრძანებს: თავდება ილორის საზოგადოება და იწყობა სამურზაყანო“ („საქართველო“ № 10) და, მაშასადამე, მისი აზრით, სამურზაყანო და აფხაზეთის შუა საზღვარს წარმოადგენს არა მდინარე ღალიძგა, არამედ მდ. ოხური.

თუ მივიღებთ ხედველობაში აფხაზეთ-სამურზაყანოს აწინდელ ადმინისტრატიულად დაყოფას, მაშინ, რასაკვირველია, პატივცემული ავტორი სრული სიმართლეს ბრძანებს, მაგრამ იმაში ვერავის დავეთანხმებით, რომ ილორი სამურზაყანოს ორგანიულ ნაწილს არ შეადგენდეს. ამაში ბ. ედილიც დაგვეთანხმება და დარწმუნებულიც ვართ, რომ ის, როგორც შეგნებული ქართველი, სხვანაირი აზრის არ იქნება ილორელების შესახებ, მაგრამ მისი ზემოხსენებული სიტყვები შეუძლიათ არა ჩვენთვის სასარგებლოდ გაიგონ იმათ, ვისთვისაც ეს საჭირო იქნება.

ზარშან წინ სოხუმის ეპისკოპოს სერგიმ გამოილაშქრა ილორელების წინააღმდეგ, ამტკიცებდა, ისინი აფხაზები არიან და მათთვის საჭიროა აფხაზი-მღვდელიო (Петрог. 15. № 205), მაგრამ ვინმე კორესპონდენტმა მისთვის გასაგებ ენით აუხსნა მას, რომ ილორში არ არის არც ერთი ოჯახი, რომელშიაც ხმარებაში იყოს აფხაზური ენაო (П. В. № 212). სამართლიანი მოითხოვდა, სოხუმის საეპარქიო მთავრობის კორესპონდენტის პასუხს სინამდვილე შეემოწმებინა. მაშინ, რასაკვირველია, თუ მას აინტერესებდა ხალხში სარწმუნოების განმტკიცების საქმე და არა პოლიტიკანობა, ამნაირად არ შეჰპედავდა ამ საკითხს და ილორს და მის დიდებულ ისტორიულ-სარწმუნოებრივ და ქართველთა ეროვნულ ნაშთზე ნებით ხელს აიღებდა, როგორც საქართველოს ეკლესიის უტყუარ კუთვნილებას. აი ამისთვის მივიჩნია საჭიროთ ორიოდე სიტყვის თქმა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმ დროის სამეგრელოს საზღვრების გამოკვლევას, როდესაც, როგორც ისტორიკოსი დ. ბაქრაძე სამართლიანად ჰფიქრობს, სამეგრელოს ეკავათ შავი ზღვის სანაპიროები ყუბანიდან ტრაპიზონამდე და არც იმ შემდეგ დროებისა, როდესაც ეკუთვნის აღმნები იმისთანა დიდებულ ნაშთებისა, როგორიც არიან: ლიხნი, პსირცხა, დრანდა, მოქვი, ილორი და ბედია, რადგანაც ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და დასასრულ საკითხის გამოსარკვევად არც იმდენად საჭიროა. ჩვენ მხოლოდ მივაქცევთ ყურადღებას მე-VII—XIX საუკუნეების ისტორიულ წყაროების ცნობას ამ კითხვის შესახებ.

რომის მისიონერების მოწმობით, ჩვენ ვიცით, რომ მე-17 საუკუნის განმავლობაში სამეგრელოს საზღვარს აფხაზეთის მხრით შეადგენდა მდინარე კოდორი, ხოლო ვახუშტი ამნაირ საზღვრად სთვლის ანაკოფიას (აწინდელი ახალი ათონი). ამ ისტორიულ ცნობებში ჩვენ წინააღმდეგობას არ ვხედავთ. თუმცა მართალია, რომ აფხაზეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში სამეგრელოს ნაწილი ყელასურამდის და შემდეგ კოდორამდისაც დაიპყრეს, მაგრამ, უეჭველია, დაპყრობილ ადგილების მკვიდრი მეგრელები ჯერ კიდევ არ იყვნენ გააფხაზებულნი. იმ ადგილს, სადაც მდ. -ყელასურა ერთვის შავს ზღვას, ბენინკაზის და ფრედერიჩის რუქებით, ერქვა მეგრელების ნავსადგური (Porto mengrello). აქვე, ბროსეს და ბრუნის თქმით, ახლაც მოსჩანს ნანგრევები წმ. გიორგის ციხისა, რომელიც აშენებია ერთ-ერთ სამეგრელოს თავადთაგანსო. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს მეგრელთა მოსახლეობას ისტორიულ გარემოებათა მსვლელობამ დაახევინა მდინარე ღალიძგამდის. შეიძლება მდ. ღალიძგამაც ამ დროიდან მიიღო თავისი სახელი უწინდელი სახელწოდების ლაღიწყალის ნაცვლად, როგორც სამეგრელოს მოსაზღვრე მდინარემ (ღალი-ღელე, მდინარე ძგა კიდე, ნაპირი=სანაპირო, მოსაზღვრე მდინარე). ილორი კი მუდამ რჩებოდა სამეგრელოს ნაწილად. ამას ნათლად გვიმტკიცებენ ილორის ეკლესიაში დაცულ ხატების წარწერანი. ამასვე გვეუბნებიან ზემოხსენებულ წყაროების გარდა პატრიარქი დოსითეოზიც, რომელიც ჯერ კიდევ მთავარ დიაკვნის ხარისხში მყოფი, ახლდა პატრიარქ პაისის მის საქართველოში ყოფნის დროს 1658 წელს და პატრიარქი მაკარიც, რომელმაც ორი წელი (1664—1666) დაჰყო საქართველოში.

სამეგრელოს მთავრისაგან დაყენებული სამურზაყანოს გამგე თავადი მანუჩარი შერვაშიძე 1806 წ. სთხოვდა ლიტვინოვს, რომ სამურზაყანოს საზღვრების აფხაზ-ოსმალებისაგან დასაცავად დაყენებული ყოფილიყო რამოდენიმე რუსის ჯარითგანი მდინარე ღალიძგის პირად და, როგორც ამისთვის საუკეთესო ადგილი მის სამფლობელოში, ჩვენი სოფელი ილორი, სადაც მართლაც დააყენეს ლეიტენანტ დროებით რუსის ჯარისკაცნი.

1839 წლიდან სამურზაყანო გადავიდა რუსეთის პირდაპირ მფლობელობაში. ამ დროიდან ილორში, როგორც სამურზაყანოს განაპირა სოფელში, დააყენეს გარნიზონი რუსის ჯარისა და აღაშენეს ციხე.

ცხადია, მთელი სამურზაყანო ილორითურთ შეადგენდა სამეგრელოს ნაწილს, მაგრამ აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსის ადგილობრივმა მთავრობამ ილორი მიაწერა კოდორის საადმინისტრაციო ნაწილს. რა იყო ამის მიზეზი დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ კოდორის საადმინისტრაციო ცენტრი—ოჩამჩირე იყო განაპირა ადგილი, რომელსაც მაშინ მოსახლეობა ძალიან ცოტა ჰყავდა და სამურზაყანოს მხრით უნდოდათ მისთვის ზურგი გაემაგრებინათ ილორის მიწერით და ამით ადმინისტრაციას გაემართლებინა თვისი მოქმედება და ოჩამჩირის არჩევანი. შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ გარუსების პოლიტიკის მაწარმოებელთ სწადდათ, სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი, როგორც არის ილორი, სამეგრელოთვის მოეშორებინათ და ამით შეესუსტებინათ ილორის მნიშვნელობა ქართველობის გამაგრებისათვის აფხაზეთის სამზღვარზე. რომ ეს უკანასკნელი ჩვენი მოსაზრება მისაღებია, ამას ნათლად ამტკიცებს ის, რომ ამ რამდენიმე წლის წინადაც გარუსების პოლიტიკა ცდილობდა ილორი წაერთვა ქართველობისათვის და გადაეკეთებინათ რუსის ქალების მონასტრად. მართლაც ილორი იზიდავს მლოცველებს მთელი იმერეთ-სამეგრელოდან და ამას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთა ეროვნების განმტკიცებისათვის ამ მხარეში. ესმოდათ ეს პოლიტიკან ქრისტეს სჯულის ვითომდა მქადაგებლებს აფხაზეთში და ამისთვის ეპ. ანდრიამ, რომელსაც დამსახურებული ჰქონდა კაცთმოყვარე და სამართლიან კაცის სახელი, დიდი შრომა გასწია, რომ დიდებული ილორი გადასულიყო რუსების ხელში (იხ. ამის შესახებ ეპ. ანდრიას და ამ-ბერის შუა გამართული პოლემიკა ადგილობრივ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში). სარწმუნოების საქმეში პოლიტიკანობას შეუძლია ბუნებრივად კეთილ კაცსაც გამოუცვალოს ხასიათი და მიმართულება.

ყოველ შემთხვევაში, ცხადია თვით ილორის მცხოვრებლებს ეთნოგრაფიულად აქვთ მჭიდრო კავშირი არა აფხაზეთთან, არამედ სამურზაყანოში მცხოვრებ მეგრელებთან და ერთადერთი ენა, რომელზედაც ილორელები საუბრობენ, არის მეგრული ენა. ამას მეცხრამეტე საუკუნეშიც გრძნობდნენ ისტორიის მკვლევარნი და ამტკიცებდნენ, რომ ილორი ორგანიული ნაწილია სამურზაყანოსი.

სელეზნევი, რომელმაც 1841 წელს ინახულა აფხაზეთი ამბობს, რომ „მოქვის მანასტირი მდებარეობს 17 ვერსის მანძილზე სამურზაყანოს სოფელ ილორიდანო“. ბერჟეს თქმით, „სამურზაყანოში, ხახულდობრ ილორში და ანაკლიაში იყო აშენებული ციხეები“. ბროსეც, რომელმაც ინახულა ილორი 1849 წელს, გვეუბნება ამასვე.

თვითონ ილორლებსაც არ მოსწონდათ მათი სოფლის ადმინისტრატიულად გამოთიშვა სამურზაყანოდან და აფხაზეთთან შეერთება. მათ კიდევაც ალძრეს შუამდგომლობა ილორი უწინდებურად დაეტოვებინათ სამურზაყანოში, მაგრამ მათი თხოვნა დატოვებულ იქმნა უყურადღებოდ.

ილორს ძველად დიდი კავშირი ჰქონია ეგრის-ბედიასთან და ამის გამო მდ. ღალიძგას რქმევია ძველად ეგრის წყალი (ვახუშტი), ხოლო როდესაც ქალაქ ეგრისს შეეცვალა სახელი და ეწოდა ბედია, მდინარესაც მიუღია სახელწოდება ბედიის წყლისა (ბროსე). თვით ილორსაც საშუალო საუკუნოებში, როგორც ამას გვიმტკიცებენ მე-14—მე-16 საუკ. რუქები (ვესკონტესი, ლუქსოროსი, უსაბელიო, პიციგანისა, კატალონისა, პასკვალინისა, ბიანვოსი, ბენინკაზისა, ფრედერიჩისი და მაიოლოსი), ვენეციელები ეძახდნენ კორენბედიას, ანუ კორენბედიის ციხეს (Castro Corenbedia), რომელშიაც გამოისმის ბედიის სახელი და რომელიც უნდა ნიშნავდეს ბედიის დამცველ ციხეს. ილორის მჭიდრო კავშირს სამეგრელოსთან ისიც ადასტურებს, რომ ამ სახელით სოფლები არიან სამეგრელოში, იმერეთში და აღმოსავლეთ საქართველოშიაც.

ილორი შედიოდა ბედიელების სამწყსოში, ხოლო, როდესაც მეთვრამეტე საუკუნეში მაჰმადიანობა გაძლიერდა და ბედიის კათედრა გაუქმდა, ილორი მთელ სამურზაყანოსთან ერთად დაექვემდებარა ცაიშელ მიტროპოლიტს. უკანასკნელ ცაიშელს გრიგოლის (+1823) დაუტოვებია ილორში კარგი სახელი და, როგორც გადმოცემით მოგვითხრობენ, ბევრი უშრომია ილორის ეკლესიის გამშვენებისათვის. ის მოხსენებულია ერთი პატარა ლითონის ბუშტის წარწერაში, რომელიც (ბუშტი) ახლა თბილისის საეკლესიო მუზეუმშია დაცული.

ყველა ეს ცნობები გვიმტკიცებენ, რომ ილორი ყოველთვის შეადგენდა სამურზაყანოს ნაწილს და, მაშასადამე, გვაქვს უფლება ილორელების ვინაობის გადაწყვეტის საქმეში არ მივსცეთ მნიშვნელობა მათი ძალადობით მიწერას კოდორის საადმინისტრაციო რაიონისთვის. ყოველ შემთხვევაში ეს არ უნდა მივიღოთ იმის მაჩვენებლად, რომ ილორლები არ შეადგენენ სამურზაყანოს მეგრელებთან ერთ ორგანიულ განუყოფელ ერთეულს.

ამ—ბერი.

## ბოლშევიკების დიქტატურა

### პეტროგრადში

#### ქარხნების ნაციონალიზაცია

სახალხო კომისართა საბჭომ რუსეთის რესპუბლიკის საკუთრებად გამოაცხადა რუსეთში და საზღვარ-გარედ მყოფი ქარხნები და სხვა ქონება, რომელიც ბელგიელ-რუსეთის სამეტალურგო საზოგადოებას ეკუთვნოდა.

#### პენსიის მოსპობა

სახალხო კომისართა საბჭომ გადასწყვიტა პენსიის მოსპობა. მოხამსახურეთა და მოხელეთა ცხოვრების უზრუნველყოფა, სამსახურის დასრულების შემდეგ მოხდება საგანგებო დაზღვევის სახით.

#### კაზანცევის შეპყრობა

ცრუდ ქაღალდისა და ფულის გაფლანგვისათვის შეიპყრეს პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი კაზანცევი.

#### გაფიცვა ფოსტაში

პეტროგრადის საფოსტო დაწესებულებებში გასაგზავნ ამანათებს აღარ იღებენ.

### მოსკოვში

#### სამხედრო ქარხნების დახურვა

საშუალებათა მოკლების გამო მოსკოვში დაიხურა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ქარხნები, დობროვის, ნაბიჟლცის და სხვ.

### პროვინციაში

#### კანის რესპუბლიკაში

კანის რესპუბლიკამ, რომელიც ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს, გადასწყვიტა მიჰმველებოდა ირკუტსკელ ბოლშევიკებს და 700 ჯარისკაცი გაუგზავნა. ბრძოლაში გადარჩა 37 კაცი. დანარჩენი დახოცეს. სარევოლუციო კომიტეტის მიერ სამართალში მიცემულმა კაპიტანმა განაცხადა, რომ „ის ანგარიშს არ უწევს ჯარისკაცთა მსხვერპლს“. ჯარისკაცებმა ის ნაკუწებად აჩეხეს.

#### ოდესაში

ოდესაში ანარქიაა. ქალაქის ნაწილებში ყოველდღე სროლაა. ყუმბარების ცეცხლისგან დაიწვა ოდესის სადგური. ტყვიისმფრქვეველით მოკლულია ოდესის მცველი ჯარის უფროსი მ. ვაისმანი. მოჰკლეს კიდევ მოწყალების ორი და, კვლავ სამი სანიტარი. მსხვერპლი დიდია.

#### გამოსარჩლება ყაზახებისათვის

ბოლშევიკების ჯართა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა უბრძანა თავის ლაშქარს წასულიყო ყაზახთა წინააღმდეგ, ბოლშევიკების გუშაონები არ ემორჩილებიან ამ ბრძანებას.

#### ირკუტსკში

ირკუტსკში სასტიკი ომებია გაჩაღებული. ყოველდღე ზარბაზნების და ყუმბარათა სროლაა. თითქმის თეთრი სახლი ციხე-სიმაგრედ არის გადაქცეული. თვით ბოლშევიკები და ქალებიც კი იღებენ მონაწილეობას. შეტაკების დროს მოკლულია დამფუძნებელ კრების წევრი ეიდემონი. არჩევნებისას გაყვანილ იქმნა ენისეის გუბერნიის ესერებისგან.

#### ტყვიის-მფრქვეველი კონიაკზე

ვოლოჩისკთან მდგარ მე 40 კორპუსის პოლკის ჯარისკაცთა ცნობით, ფრონტზე დიდი ვაჭრობაა გამართული. ჯარისკაცებმა გერმანელებს თითო ზარბაზანი 120 მანეთად მიჰყიდეს, ხოლო ტყვიის-მფრქვეველი ორ ბოთლ კონიაკზე.

#### ტაშკენტის თავისუფალი რესპუბლიკა

ტაშკენტიდან იტყობინებიან: დაარსდა ტაშკენტის თავისუფალი რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან: კომისარი შვეცოვი—წინად სისხლის სამართალში მიცემული; იუსტიციის კომისარი—ყოფილი მომრიგებელი შუამავალი ზალესკი, რომელმაც ობლების 73,000 მანეთი გაფლანგა, გარეშე საქმეთა კომისარი დომოგაცკი, ფინანსებისა კოლესოვი, რკინის გზისა უბრალო მოსამსახურე, განათლების კომისრად მასწავლებელი პერშენსკი, რომელიც დათხოვნილი იყო უცოდინარობით.

რადგანაც ესენი სულ უღირსი პირები არიან, მრავალ სასწავლებლებმა შესწყვიტეს მეცადინეობა.

## უკრაინა

### საერთო მდგომარეობა

ყაზახთა კომისარი შაპკინი, კიევიდან პირდაპირი მავთულით შემდეგ ცნობებს იძლევა: მუდმივ ლაშქრის ნაცვლად, უკრაინაში შესდგა სახალხო მილიცია. ჯერ-ჯერობით დაარსდა მოხალისეთა 3 კორპუსი. ყოფილი სამხედრო მინისტრი პეტლიური დაინიშნა გაიდამაკების კორპუსის უფროსად. მას მიენდო, ბოლშევიკებისაგან წართმევა ეკატერინოსლავისა, პოლტავისა და სხვა ქალაქებისა. ბოლშევიკები კიევთან იკრიბებიან და ძალებს აძლიერებენ. ბახმაჩის ომში, უკრაინელებმა დაამარცხეს ბოლშევიკები და გომელისკენ წაიწიეს. ალექსანდროვსკი ყაზახებმა ჯერ-ჯერობით ვერ დაიპყრეს. მათ წინ მიუძღოდათ ჯავშნოსანი ავტომობილი 10 ტყვიისმფრქვეველით დახევის შემდეგ ის დაეჯახა ეშელონების მატარებელს. მსხვერპლი დიდია. ხმებია, რომ ვინიჩენკოს კაბინეთი ხმებია, რომ ვინიჩენკოს კაბინეთი შესცვალა ახალმა მთავრობამ, რომელშიაც სულ ესერები შედიან. მცირე რადამ ადგილობრივ გაზეთებში გამოაქვეყნა უნივერსალი უკრაინის დამოუკიდებლობის შესახებ ამ უნივერსალს ფესვები ბრესტ-ლიტოვსკიდან ჰქონია. ამ უნივერსალით, ისინი აფრთოვანებენ ხალხს ბოლშევიკებთან დიდ საომარ მოქმედებისთვის.

## ეროვნული საკითხი

### თათრების გამოსვლა ყირიმში

მიღებულია ცნობები ყირიმის მდგომარეობის შესახებ. დიდხანს ითმინეს თათრებმა ბოლშევიკების უწესოება და ახლა ადგნენ ერთის პირით, ერთი მახვილით, გაჩაღდა სამოქალაქო ომი და მის ალმურში გაეხვია მთელი ყირიმი. თათრებმა აიღეს იალტა და მეზობლად მყოფი ქალაქები. ბოლშევიკები გაიქცნენ. ახლა თათრები დიდი ძალებით და არტილერიით მიდიან ოთხივე მხრიდან სევასტოპოლზე. გზაში იგინი ულკთოდ ქლეტავენ ბოლშევიკებს: მათ მეზღვაურებს, წითელ-გვარდიელებს და ჯარის კაცებს. სევასტოპოლის მდგომარეობა საშინელია. თათრების საწინააღმდეგოდ, ბოლშევიკებმა ძალთა სრული მობილიზაცია მოახდინეს. სდგება ახალი რაზმები, მეზღვაურთა, ჯარის კაცთა და წითელ-გვარდიელებისა. სევასტოპოლის ნავთსადგურში ჩააყენეს ახალი სამხედრო გემები. ქალაქში დაჰქრიან ავტომობილები შეიარაღებული წითელგვარდიელებით და ჯარის კაცებით. ტელეგრაფს იცავენ პატრულები. თეოდოსიაში გაგზავნილი მეზღვაურები ითხოვენ გაეგზავნოთ ტრანსპორტი, ან ნაღმოსანი, ამასთანავე იტყობინებიან, რომ თეოდოსია-სევასტოპოლის გზები შეწყვეტილია და თათრებმა 200 მეზღვაური უკვე შეიპყრეს სიმფეროპოლში.

## ომი

### რუმინეთის ფრონტი

რუმინეთის ოფიციალ დეპეშებით იტყობინებიან: „რუსის ჯარებმა დასტოვეს მოლდავეთის ფრონტი და მიდიან რუსეთში. გზაში ეცემიან რუმინელთა ქალაქებს; რუმინელები მათ იარაღს აყრევინებენ. ბესარაბიის მთავრობის თხოვნით რუმინელმა ჯარებმა დაიჭირეს სასურსათო ცენტრები ბესარაბიაში და კიშინევ-იასის რკინის გზა.

## უკანასკნელი დეპეშები

ხარკოვში ბოლშევიკების მდგომარეობა შეირყა. ანტი-ბოლშევიკური მდგომარეობა დღე და დღე ძლიერდება.

—

კიევიდან პირდაპირი მავთულით იტყობინებიან: ცალკე საზავო მოლაპარაკება უკრაინასა და ცენტრალ სახელმწიფოებს შორის ინტენსიურად სწარმოებს. უკრაინის წარმომადგენლებმა მოითხოვეს მოსაზღვრე ოლქის გალიჩინის შემოერთება. ცენტრალ სახელმწიფოების წარმომადგენლებზე ამაზე ... უკიდურესი შესაძლებელი ... დაგვითმობთ, ისიც ... შემდეგ უკრაინამ ... და ავსტრიას საზავო გადასახადი აძლიოსო.

—

ადხტაფასა და ეველახს შუა რკინის გზის მოძრაობისათვის კონდუქტორებათ 300 მაჰმადიანი მუშაოხს.

—

განჯასა და ალიბაშლის შუა დიდძალ შეიარაღებულ თათრებს მოუყრიათ თავი და თბილისიდან მიმავალ მატარებლებს ელოდებიან გასაძარცვად.

## ქრონიკა

### თბილისი.

◆ გლეხების შეიარაღება. გლეხთა სამხარეო ცენტრმა დაადგინა იშუამდგომლოს ამიერ კავკასიის კომისარიატის წინაშე, დაჩქარის უკანასკნელმა გლეხებისათვის იარაღის მიცემა თავდაცვისათვის.

◆ ფულის გადადება წითელ გვარდიელებისათვის. ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა მისცეს შინაგან საქმეთა კომისარს 60,000 მანეთი წითელ გვარდიის საჭიროებისათვის.

◆ ქართულ ჰიმნისთვის. ქართველ მწერალთა კავშირის საბჭო სთხოვს მგოსნებს მიაწოდონ მას ამ წლის 20 თებერვლისათვის ლექსი ქართულ ეროვნულ ჰიმნის ტექსტისათვის. ლექსი უნდა იყოს მოკლე, გასაგებ ენით დაწერილი. უკვე გამოგზავნილ ლექსებს ჟიური განიხილავს 20 თებერვლის შემდეგ. მისამართი: თბილისი, ლერმონტოვის ქუჩა, საადგილ-მამულო ბანკი, კონსტანტინე მაყაშვილს.

◆ მიტროპოლიტების ჩამოსვლა. თბილისში ჩამოვიდნენ მიტროპოლიტი ქუთათელი ანტონი და ჭყონდიდელი ამბროსი. მათ თან მოჰყვათ დელეგაციები ადგილობრივ საეპარქიო და საეკლესიო საქმეების გასაცნობად.

◆ მის უწმიდესობას ყოვლად უსამღვდელოესს კათალიკოს-პატრიარქს კირიონ მეორეს კვირას, იანვრის 28 წარუდგნენ დამსახურებული პროფესორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი და გერმანეთის საიმპერატორო კონსული ედგარდ ანდერსი.

◆ კავკაველ ქართველების გადმოსახლებისათვის. საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა საეროვნო სექციას, თუ კავკაველი ქართველები მოინდომებენ საქართველოში დასახლებას, შესაფერი ადგილი მოუძებნონ.

## სული ახალის საქართველოსი

### (ნ. ბარათაშვილი)

(დასასრული)

საგულისხმოა, რომ ჩვენმა მგოსანმა ასეთს არა ჩვეულებრივ გრძნობა-გონების უშფოთველესად აღზნების და დაჭიმვის ყოფაშიაც შეინარჩუნა „წუთისოფლის ზრახვანი“ და ცხოველი წყურვილი“ მოძმეთა, მომავალ თაობათა და სამშობლოსთვის სამსახურისა და ამ გვარად პირადი ინტერესი, პირადი განცდა გაასაზოგადოვა, მოქალაქობრივი და საკაცობრიო მოტივები შეიტანა მათში; თვისი პირადი სულიერი ტრაგედია, როგორც კერძო ეპიზოდი, ზოგად კაცობრიობის ტრაგედიას გადააბა და დაუკავშირა.

ამ რიგად პატარა, დაჩაგრულ დამცირებულ საქართველოს შვილმა იტვირთა ლოდივით მძიმე და სფინქსივით გამოუცნობი საკაცობრიო საკითხი და ლამობს თვისის უცნაურის სრბოლით გადალახოს ბედის საზღვარი და იქ, უცნობს საწყაროში, ამოიკითხოს ცხოვრების იეროგლიფები! ეს მისწრაფება პატარა ერის შვილისა ისეთი ზეკაცური და ტიტანიურია, რომ ეონებას ხიბლავს და აჯადოვებს თვისის უზენაესობით და სულს ატკბობს თვისის სიმშვენიერე-სილამაზით.

პირველ შეხედვით, ვითომც სტიქიური და გიჟური მისწრაფება პოეტისა, მაგრამ რომ ჩაუკვირდეთ ამ ლტოლვას ღრმა შინაარსი აზროვნებს: აქ უკვე შეცნობილია და გონების თვალით განჭვრეტილია მიზანი და აზრი ძიებისა და აღნიშნულია მომავლის პერსპექტივები.

ლექსი „მერანის“ იმ ტაეპში, სადაც მგოსანი იმედს გამოსთქვამს, რომ მისი განწირული სულის კვეთება ცუდად არ ჩაივლის, გზა უვალი მისგან თელილი მაინც დარჩება და მოძმეს სიძნელის გზას გაუადვილებს,—ამ ადგილში სიტყვა „მოძმე“-ში, ჩვენის შეხედულობით, მგოსანი გულისხმობს არა პირდაპირ ნათესავ მეგობრებს ან კიდევ თანამემამულეებს, არამედ საზოგადოდ ადამიანს. აგრეთვე ვფიქრობთ, რომ „ქართლის ბედის“ გამოსწორებას მისი გულის კვნესის დაამებას, მის გარეშემო „ხშული ჰაერის“ განწმენდას და მალედ მის გამოცოცხლებას პოეტი არ მოელის მხოლოდ გაევითვცნობიერებულ და სიყვარულით აღგზნებულ თანამოძმეთაგან, არამედ უმთავრესად კაცობრიობის რჩეულ წარმომადგენელთა ღვაწლისა და ნამოქმედარისაგან.

არც ერთს ქართველს მწერალს დღემდის ასე ხაზგასმით არ აღუნიშნავს და ასე ნათლად არ გაუთვალისწინებია საქართველოს მომავლის კონტურები და პროცესი მისის განახლებისა და ხელ-ახლად საკაცობრიო ფერხულში ჩაბმისა, როგორც ბარათაშვილს.—ილიამ ზაზალეთის ტბაში ჩადგმულ აკვანში მწოლარე ყრმაში განასახიერა „ბედი ქართლისა“ და ნატვრით მოელის მისი აქიდგან ამოყვანს ქართველ „გმირ ვაჟკაცს“. აკაკის „ნესტან დარეჯან“—სამშობლო „ცხრა კლიტულში“ ეგულება და მის დასახსნელად მთელს საქართველოში დაფით და ნაღარით გმირებს დაეძებს. ვაჟამ სამშობლოს ბედი სიმბოლიურად „ბახტრიონის“ ციხეში მოამწყვდია და მისი დახსნა ფშავ-ხევსურებს არგუნა.

ამ სამთა, საქართველოს მოამაგე მგოსანთა ფიქრ-ზრახვა, მისწრაფება გულის წადილი, ძიება, სევდა და კაეშანი საქართველოს და მისი ბედის საზღვრებს არ სცილდება; მათი „გულის ჭირი“, ასე რომ ვსთქვათ, ადგილობრივია, ტერიტორიალურია და საშვალებანიც მისი დასაამებლად და განსაქარვებლად მშობელ ერის ძალით და ხერხით არის ნაგარაუდევი.

ნ. ბარათაშვილს კი სხვა სურათში ესახება საქართველოს ბედის გამოკეთება: მისი რწმენით, იმ გრძელმა ბე-

◆ **კოოპერატიულ და ხაკრედიტო დაწესებულებების გამგეობათა კრება.** თებერვლის 2 დანიშნულია კოოპერატიული და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა გამგეობის კრება. ამ კრებაზე დასაწრებლათ წარმომადგენლობა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული აქვთ შემდეგ პირთ: დუშეთში შალვა გოგებაშვილს, თელავში—შალვა ჯაჯანაშვილს, სიღნაღში—გრიგოლ ნიჟარაძეს და გორში—სვიმონ მაჰვარიანს.

◆ **ს. წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სკოლაში** უეგზამენოდ მიიღებენ ყველა მსურველთ, ვისაც 2 კლასის მოწმობა აქვს. თხოვნები მიიღება თებერვლის 10-მდე. სწავლა დაიწყება ამავე დღეს. მისამართი: სად. მცხეთა, წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის გამგის სახელზე. სასწავლებლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თავისუფალია აგრონომ მასწავლებლის ადგილი, რომელსაც წლიწადში ექნება 2,520 მანეთი, ბინა, გათბობა, განათება და სხვა. მსურველებმა მიმართონ თხოვნით ეროვნულ საბჭოს (სადგანმანათლებლო სექციას).

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **არშინ მალ-ალანი** პირველად ქართულ ენის მსახიობთა მიერ სახაზინო თეატრში წარმოდგენილ იქნება კვირას, 4 თებერვალს, დილით. მონაწილეობენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ც. ამირეჯიბი, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვასო აბაშიძე, ალ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვასო აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ი. ქორიძე და ნ. ჩაგუნავა.

◆ **ლექცია.** ხუთშაბათს, თებერვლის პირველს, ნაძალადევის თეატრში ვ. საყვარელიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე მომენტი, ფედერაცია-კონფედერაცია და ჩვენი მიზანი. ლექცია დაიწყება საღამოს 5 საათზე.

## სასურსათო საქმეები

◆ **სურსათი.** იანვრის 30-ს სასურსათო გამგეობას მოუვიდა 4 ვაგონი ქერი.

◆ **პურის რაციონის გადიდება.** იანვრის 30-ს პურის რაციონი ისევ ½ გირვანქა გახდა.

◆ **შაქრის რაციონი.** ქალაქის სასურსათო გამგეობის დადგენილებით თებერვლის 1-დან თითო კაცს მიეცემა 2 გირვანქა შაქარი, გირვანქა 50 კაპეიკად.

◆ **შაქარზე აქციზების გაუქმების შესახებ.** ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების კომიტეტმა, ქუთაისის და ბათუმის თვითმართველობებმა შუამდგომლობა აღძრეს ამიერ კავკასიის კომისარიატის წინაშე, შაქარზე აქციზი გაუქმეთ, რადგანაც უკანასკნელი მთელ თავის სიმძიმით მშრომელ კლასებს აწვება.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

◆ **საფინანსო სექციის სხდომა** შესდგება თებერვლის 2, საღამოს 6 საათზე.

## პროვინციის ქრონიკა

### ახალქალაქი

◆ **ქართული გიმნაზიის გახსნა.** (დეპეშა) გუშინ აქ გაიხსნა ჯავახეთის ქართული გიმნაზია, რომელიც დაარსდა ჯავახეთელ ქართველთა ფულით (განურჩევლად სარწმუნოების). პირველ დღესვე ჩაეწერა 105 მოწაფე. მოსალოდნელია მოკლე ხანში ჩაეწეროს 300-მდე კიდევ. გიმნაზიას არ მოეპოება ბინა მოწაფეთა საცხოვრებლად. საჭიროა ნივთიერი დახმარება.

## სარიყამიშის მეციხოვნე ჯარის დელეგაცია

თბილისში ჩამოვიდა სარიყამიშის გარნიზონის დელეგაცია, რომელიც წარუდგა ამიერ კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს ევ. გეგეჭკორს. დელეგაციამ განაცხადა, ჩვენს შესახებ ტყუილი ხმებია გავრცელებული, ვითომც ჩვენ ბოლშევიკები ვიყვნეთ და თბილისს ვემუქრებოდეთ. ჩვენ არც ბოლშევიკები ვართ და არც მენშევიკები, ჩვენ არც თბილისს ვემუქრებით დასარბევად, არც რომელიმე სხვა ქალაქს ანუ სოფელს და არც აქაური ორგანიზაციების წინააღმდეგნი ვართ. ჩვენ სამშობლოში ვბრუნდებით და ჩვენი სურვილია დაუბრკოლებლივ ვიმგზავროთ, ჩვენ ხელს არავის არ ვახლებთ, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენც არავინ არ უნდა გადაგვეღობოს წინა. ამ საკითხის გადასაწყვეტად და მოსაგვარებლად ბ-ნ გეგეჭკორს, დელეგაციის თანდასწრებით, იანვრის 29-ს, თათბირი ჰქონდა საოლქო ცენტრში ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან.

## თერგ-დაღესტნის მმართველობის გამოყოფა

თერგ-დაღესტნის დროებით მთავრობის საბჭომ დაადგინა: გამოჰყოს სტავროპოლ-თერგის საადგილმამულო და სახელმწიფო ქონების სამმართველო საქმეებიდან ბაქოს გუბერნიის და დაღესტნის ოლქის საადგილმამულო და სახელმწიფო ქონების მმართველობის საქმეებიდან, ბაქოს და სტავროპოლის სახაზინო და საკონტროლო პალატების საქმეებიდან. თერგ-დაღესტნის ოლქების საადგილმამულო და სახელმწიფო ქონების მმართველობის საქმეები. ამ დაწესებულებათა სრულ შემადგენლობით და შესდგეს საგანგებო თერგ-დაღესტნის საადგილ-მამულო და სახელმწიფო ქონების გამგეობა, თერგ-დაღესტნის სახაზინო პალატა და თერგ-დაღესტნის საკონტროლო პალატა.

თერგ-დაღესტნის მთავრობის დადგენილებით თავმჯდომარე მთავრობის წევრი თავ. რ. კაპლანოვი.

საფინანსო უწყების მთავარი გამგის მაგიერ ფახილევი.

საკონტროლო უწყების გამგე ვ. ჯაბაგიევი.

## საოლქო ცენტრი

### ნაციონალურ სამხედრო საბჭოს საკითხი.

**იანვრის 26 სხდომა.**

საოლქო ცენტრს განსახილველი აქვს საერთაშორისო საბჭოს საკითხი. საკითხი მეტის-მეტად მნიშვნელოვანია.

**ივანოვი.** (სოც. რევ.) ეროვნული საბჭოები ალაგ ემსახურებიან დემოკრატიის ჭეშმარიტ ინტერესებს. ჯარი, თანდათან შორდება დემოკრატიას და ეროვნულ საბჭოების სათამაშო იარაღად ხდება. უნდა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ მომავალში ჯარი, ეროვნულ საბჭოებს კი არა, არამედ საოლქო მთავრობას ემორჩილებოდეს.

ივანოვის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ამიერ-კავკასიის საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარე ნოე რამიშვილი.

**ნ. რამიშვილი** (მენშევიკი). მე პროტესტს ვაცხადებ იმ ბრალდებების წინააღმდეგ, რომელნიც საერთაშორისო საბჭოს გასაშავებლად იხმარეს. აქ ისმოდა ხმები, ვითომც შამქორის ამბებში დამნაშავე იყოს საერთაშორისო საბჭო. ესეც ტყუილია. ამაზედაც პროტესტს ვაცხადებ. ამიერ კავკასიის საერთაშორისო საბჭო მომავალშიც მხნედ დაიცავს დემოკრატიის ინტერესებს.

**ვ. ჯუღელი.** მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ეროვნული საბჭოებისა. შამქორის ამბები მჭიდროდ დაკავშირებულია ეროვნულ საბჭოების მოქმედებასთან. ნ. რამიშვილსაც ბრალი უდევს ამ ამბებში. ამას წინად მე გავაფრთხილე ნ. რამიშვილი, ეფხაზავა არ არის სანდო პირი-მეთქი, ნ. რამიშვილმა მაინც მას მიანდო ეშელონების შეწყვეტა. დემოკრატია პირველ ხანებში სასტიკად შეებრძოლა იმ მოვლენას, როდესაც ქართველ ნაციონალისტებს სურდათ სეპარატიული ნაბიჯის გადადგმა. დღეს რას ვხედავთ. ეროვნულ საბჭოებში და ინტერ-ეროვნულ საბჭოში მოკალათებულან სოციალისტები და სეპარატიულ პოლიტიკას ანხორციელებენ. ეროვნული საბჭოების ზრდით თანდათან ითიშება დემოკრატია. ჩვენ გვანუგეშებენ ეროვნულ საბჭოებს სათავეში მარქსისტები უდგიან. მერე რა? ეროვნულ საბჭოებს მხოლოდ ის მარქსისტები უდგიან, რომელთაც მარქსიზმი მხოლოდ დაჰკარგეს და ნაციონალისტურ ინტერესს გაჰყვნენ, ბოლოს და ბოლოს უნდა მოსპობილ იქმნას ძალა დემოკრატიის გამთიშველი. უნდა და[illegible]ნოთ ერთი პოლიტიკური ძალა. მთელი ძალა ამიერ-კავკასიის სეიმს. ყველა ჯარებიც სეიმს უნდა ემორჩილებოდეს.

კამათი გრძელდება. გამოდიან როგორც ეროვნული საბჭოების დამცველები, ისე მოწინააღმდეგენი. წინადადება კამათის შეწყვეტის გამო სხდომის მიერ შეწყნარებულ არ იქმნა.

**აკ. ბაბავა** (ს. ფედერ.) იცავს ეროვნულ საბჭოებს და მათ პოლიტიკას სავსებით ამართლებს.

**არზუმანოვი** (დაშნაკ.) საერთაშორისო საბჭო კონტრ-რევოლიუციონური დაწესებულებაა. ეს საბჭო უნდა გავაუქმოთ:

ამ განცხადებამ დიდი განცვიფრება გამოიწვია დარბაზში. დაშნაკცაკანები ყოველთვის ეროვნულ საბჭოების პოზიციას ამაგრებდენ და დღეს მათმა წარმომადგენელმა ასე მოულოდნელად იცვალა ფრონტი.

ლაპარაკობენ სხვებიც. დარბაზში ალიაქოთება. ჯუღელი თავის გამარჯვებას დღესასწაულობს.

**ნ. რამიშვილი.** ჯუღელი ცილისმწამებელია.

**ვ. ჯუღელი.** ნ. რამიშვილი კი მატყუარა.

**ნ. რამიშვილი.** ვაცხადებ, რომ ჯუღელის მიერ წამოროშილი ინსინუაციაა.

**ვ. ჯუღელი.** თქვენ კი მატყუარა და გლახაკი, („ნეგოდიაი—პოდლეც“) ხართ. მე თქვენ შესაფერად გაგისწორდებით.

ინციდენტი დარბაზში აურ ზაურს იწვევს. თავმჯდომარე სხდომას დროებით სწყვეტს. სხდომის შეწყვეტის დროს ხდება თათბირი ფრაქციების წარმომადგენლებისა. ამ თათბირის მიერ დადგენილ იქმნა, რომ ასეთი ინციდენტები როგორც ერთის, ისე მეორე მხრიდან შეუწყნარებელია.

სხდომა იხსნება.

**ე. ნინიძე** (მენშევ.) ეროვნული საბჭოების არსებობა აუცილებელია. დაშნაკცაკანების პოლიტიკა და მათი წარმომადგენლის არზუმანოვის განცხადება ჩვეულებრივი მოვლენაა. ბოლშევიკებმა სომხეთის შესახებ დეკრეტი გამოაქვეყნეს და დღეს ყველა დაშნაკცაკანი ბოლშევიკი გახდა.

სხდომა დილამდის გაგრძელდა.

უმრავლესობის მიერ მიღებულ იქნა, რეზოლუცია საერთაშორისო საბჭოს საკითხის შესახებ გამოტანილ იქმნას ცენტრის შემდეგ სხდომაზე.

გ. ხ.

## ქართული უნივერსიტეტის გახსნა

### აკაკი ჩხენკელის სიტყვა

მოქალაქენო!—საქართველოს ეროვნულ საბჭოს მინდობილობით ბედნიერება მაქვს გავხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი (ტაში). მე ვამბობ პირველითქო, აქედან ცხადია, დღევანდელი დღე დიდმნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. დღემდე ჩვენ არ გვქონია არც ერთი მაღალი სასწავლებელი. მე არ შევეხები შორეულ წარსულს, იმ წარსულს, რომელიც განიყოფება რუსეთის ფარგლებში ჩვენი ცხოვრების ხანიდან. მაშინ ჩვენ გვქონდა დროის შესაფერი უმაღლესი სასწავლებლებიც.

ერს, რომელსაც არა აქვს თავისი სამეცნიერო ტაძარი, არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სრულ-ასაკოვანია. როცა მე მესმოდა საზღვარ-გარეთ საქართველოს შესახებ საგმირო ამბები, თუ რა მონაწილეობას იღებდა იგი განმათავისუფლებელ მოძრაობაში,—მაშინ ეკითხებოდენ რამდენი უნივერსიტეტი, პოლიტეხნიკუმი და სხვა უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში. და მე ამ შეკითხვაზე მხოლოდ გაწითლებით ვუპასუხებდი: ჩვენ არ შეგვეძლო მიგვეღო განათლება სამშობლო ენაზე. რა ერია ის ერი, რომელსაც არა აქვს საშუალება ისარგებლოს მეცნიერების ნაყოფით სამშობლო ენაზე. ჩვენ რუსეთის საზღვრებში ცხოვრებამ მოგვიტანა კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური თვითცნობიერება, ეს უნდა მიეწეროს როგორც რუსეთის საზღვრებში ცხოვრებას, ისე თვით ქართველ ერის უნარს, რომელმაც აუღო ალღო ახალ ცხოვრებას, ახალ ხანას, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე შედგა ფეხი და ცნობილ ჰყო თავის თავი როგორც შინ, ისე გარეშე უფრო ფართოთ, ვინემ ეს წარსულში იყო. მაშინ იტყოდენ: ეს და ეს მეფე; ეს და ეს სარდალი; არ იყო ისეთი ხანა, რომ ეთქვათ—ქართველი ერი წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზმს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს უცხოელებშიო. თუ რატომ არ გვქონდა მაღალი სასწავლებელი, ამას მიზეზი ყველამ იცის. ჩვენ სხვებთან ერთად ვიყავით ჩაგრული ერი, მოკლებული ყოველგვარ უფლებას. ახლა მოგვეცა საშუალება გავხსნათ ქართული უნივერსიტეტი. ეს მიეწერება დიდ მოძრაობას, რომელშიაც აქტიური მონაწილეობას იღებდა ქართველი ერი, მისი დემოკრატია. მაშასადამე, როცა ქართველი დემოკრატია იბრძოდა სოციალ-პოლიტიკურ უფლებებისათვის, ამავე დროს იგი იბრძოდა ერის უფლებისათვის. დემოკრატიის ღვაწლმა მოგვივლინა დღევანდელი დღესასწაული. თქვენ იცით ქართველი ხალხის დაუშრეტელი წყურვილი ცოდნის შეძენისადმი. ჩვენი სასწავლებლები, რომლებშიაც უფრო გამარუსებელი და ბიუროკრატიული რეჟიმი იყო გამეფებული, ვერ იტევდენ ჩვენს მოსწავლეებს. სტატისტიკის მიხედვით ჩვენში [illegible] სასწავლებელი იყო საჭირო, რომ მოთხოვნილება [illegible]. რამდენათ ძლიერია ჩვენში სწავლა-განათლების წყურვილი, ეს ჩანს გურიის მაგალითიდან. გურიაში დღეს იმდენი სასწავლებელია, რომ საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების შემდეგაც იქ არ იქნება საჭირო ახალი სასწავლებლის გახსნა. და თუ ეს სკოლები ეროვნული გახდა, მათი მნიშვნელობა ყველასათვის ცხადი იქნება, რატომ პირველათ იხსნება მაღალი სასწავლებელი, როცა ჯერ კიდევ არ გვაქვს დაბალი და საშუალო ეროვნული სასწავლებლები? ასეთ ხანაში სწორეთ საჭიროა ქართული უნივერსიტეტი, რომლიდანაც უნდა გამოვიდეს ის ხალხი, რომელიც გაუძღვება დაბალ და საშუალო ეროვნულ სკოლებს. საჭიროა ცოდნა, მეთოდი, რომ ახალგაზრდობას გრძნობა გაუფაქიზოთ, ხასიათი განვუმტკიცოთ. ცხადია, ჩვენ დიდი სიხარულით უნდა მივეგებოთ ამ საქმის დაწყებას, ქართ. უნივერსიტეტის გახსნას. ჩვენ გვეჭირვება დიდი ცოდნა განათლება. ამ მხრით არ ვართ მაინცდამაინც დაწინაურებული. ერთა ისტორიაში არის მაგალითები, როცა ერი იჩენს უნარს ერთ რომელიმე დარგში, ვთქვათ პოლიტიკაში, პუბლიცისტიკაში. მაშინ მეცნიერებისათვის მას აღარ რჩება ძალა და ღონე. ჩვენ სწავლა განათლების მხრით მეტად ერს ჩამოვრჩით უკან, ისეთ ერებსაც, რომლებიც პოლიტიკურად ჩვენზე დაბლა დგანან. ჩვენ გვესაჭიროება შესწავლა წარსულის, შეგნება აწმყოსი, გათვალისწინება მომავლისა. ჩვენ შეიძლება კარგათ ვიცოდეთ რომელიმე ბრაზილიის წარსული, ხოლო მეტი არ აღმოჩნდება ჩვენში, რომ თავის ერის წარსული იცოდეს. ეს სრულებითაც არ მოასწავებს, თითქოს ჩვენ უნდა ვიაროთ წარსულის გზით, არა, ჩვენ უკვე შევდექით იმ გზაზე, რომლითაც განათლებული ერები მიდიან. წარსულის შესწავლა გვესაჭიროება ჩვენ აწმყოს შესაგნებათ და მომავლის გასათვალისწინებლათ. ჩვენ უნდა ვიცოდეთ თანამედროვე მეცნიერების დარგები, შევისწავლოთ ახალი მეთოდები; ეს საჭიროა მომავალ მასწავლებლებისათვის.

არა ნაკლებ საჭიროა სხვა ერთა ცნობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის შესწავლა-გათვალისწინება. მეცნიერება არ არის ქართული, ფრანგული, ინგლისური. იგი ერთია. მხოლოდ ფორმა, სახე შეიძლება იყოს ეროვნული; მეცნიერება ამიტომ საუკეთესო იარაღია ხალხთა დაახლოვებისა. იგი რომ ეროვნული იყოს, მაშინ

---

სადაც გამოიჭედება სასურველი მომავალი „ახალი ქართლისა“, სხვა ერთა წარმომადგენლების ჩაქუჩებიც დაეცემა; იმ ქურას, სადაც უნდა მოლბეს უდრეკი ბედის რკინა საქართველოსი, სხვა ერთა შვილების აღზნებულის გრძნობანიც გაგიზგიზებენ.

ობოლი, ქვეყნიერებას მოწყვეტილი და დამცირებულ საქართველოს შვილმა ზნეობრივი და იდეური ხიდი გასდო თავის პაწია სამშობლოსა და მთელს კაცობრიობის შორის, სულიერი და გონებრივი კავშირ-ნათესაობა დაამყარა მათ შორის. და ამით მან ყველასათვის ცხად ჰყო, რომ დროებით დაუძლურებულ, მაგრამ ერთის დროს კულტუროსან, ერის შვილს შეუძლიან იტვირთოს ის უსაზღვრო მსოფლიო სევდა, რომლის საშინელი ალი თუმცა ეკიდება ადამიანის გულს, მაგრამ არ აფერფლებს, არამედ აფოლადებს მას.

ნ. ბარათაშვილის პიროვნებაში და შემოქმედებაში ერთხელ კიდევ ძველმა საქართველომ გამოამჟღავნა თავისი გონებრივი და ზნეობრივი ძალა და ენერგია, ცხად ჰყო თავისი კულტუროსნობა, იმედის სხივით გაანათა თავისი არსებობის ჩაშავებული ცა, ხელი გაუწოდა მოწინავე კაცობრიობას და დაანახვა მას, რომ პატარა საქართველოც შეიძლებს და მზათ არის გაინაწილოს ადამიანთა საკეთილდღეოდ მიმართული შრომა და იგრძნოს და განიცადოს კაცობრიობის სულის კვეთება.

როგორც შოთა რუსთაველმა მეთორმეტე საუკუნეში სიყვარულის და მეგობრობის გრძნობის საოცარი აპოთეოზით, ისე ნ. ბარათაშვილმა მეცხრამეტე საუკუნეში საკაცობრიო სევდა-ვაებანის გასახიერებით („მერანი“) ქართველი ერის გენიალობის გამომხატველი ლიტერატურა დაუახლოვა, დაუნათესავა მსოფლიო ლიტერატურას და მის შექმნილს საუკეთესო ნაწილს კაცობრიობისას.

„ნ. ბარათაშვილმა ქართულ აზრს, ქართულს გულით თქმას, ქართულს ჭკუა-გონებას დიდი გზა და სივრცე მისცა; კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანაზიარი გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“ (ილ. ჭავჭავაძე).

ამ მხრივ დაუფასებელი და იშვიათია ღვაწლი უდროოდ დაკარგულის ნ. ბარათაშვილისა. ვერც ილია და აკაკიც ვერ გაუწევენ მას ამ სფეროში მეტოქეობას. მიუხედავად ამ უკანასკნელთა ფართო და ღრმა შემოქმედებისა, მათის ნიჭის სიდიადისა და მათ მიერ შექმნილ-გაკეთებულის უსაზღვრო დიდებულობისა, ჩვენ მათ ვერ უწოდებთ მსოფლიო მწერლებს, ვერ დაუპირისპირებთ სახელ-მოხვეჭილ მსოფლიო გენიოსებს. ნ. ბარათაშვილი კი იმ მცირე რაოდენ ნაწარმოებთა მიხედვითაც, რომელიც მან ჩვენ გვიანდერძა, თამამად დაიჭერს საპატიო ადგილს ბაირონის და მსოფლიო გოდების და სევდის გამომხატველ სხვა გენიოსთა გვერდით.

მართალია მჭლე და უხეირო იყო სულიერი საზრდო ჩვენის მგოსნისა, ვიწრო და შემოფარგლული იყო ასპარეზი მისი შემოქმედებისა; მისი ლაღი ფანტაზია და მკვეთრი გონება ვერ ჰპოვებდა არსებულს პირობებში საზრდოს და [illegible]; ფუქსავატობას, უაზრობას, უიდეალობას, მონურ ბედით კმაყოფილებას წრე შეეკრათ მის გარშემო და უპირებდენ მას დამორჩილებას, მაგრამ მიუხედავად ყოველივე დაბრკოლებისა მგოსანმა ხანმოკლეთ მაინც ისე მძლავრად და ზღაპრულის სიმშვენიერით გაშალა თავისი ფანტაზიის არწივისებური ფრთა და ისე ლაღად და მედიდურად შეიჭრა შემოქმედების უსაზღვრო სივრცეში, რომ, რაც მეტი დრო გადის, და რაც უფრო უკვირდება ადამიანი ამ იშვიათს ნაწარმოებს, მით უფრო [illegible] მისი შემოქმედებისა, მით უფრო გვატყვევებს სიძლიერე და ფართედ გაშლა მისი განცდის მისწრაფებისა. „მერანი“, „ვპოვე ტაძარი“, „ჩემი ლოცვა“, „სული ბოროტი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“ და სხვ. ისეთი შედევრებია, ისეთის ღრმა აზრით არის გაშუქებული და მაღალის გრძნობით გამთბარი, ისეთ საუცხოვო პოეტურ სამოსელშია გახვეული, რომ დიდის სიამოვნებით და სიამაყითაც კი ხელს მოაწერდენ ისეთნი ბუმბერაზი გენიოსნი, როგორიც იყვნენ გიოტე და ბაირონი. მარტო ეს ლექსები? არც ერთი ლექსი არ აქვს ნ. ბარათაშვილს ისეთი, რომელსაც არ ეტყობოდეს ნიშანი დიდის ღვთიური ნიჭიერებისა, რომელსაც არ აცისკროვნებდეს ღრმა აზრის ელვარება და არ იყოს გახვეული მშვენიერს პოეტურს სამოსელში.

რა უყოთ, რომ მგოსანმა ვერ მოასწრო, უკეთ რომ ვსთქვათ, გარემოებათა მეოხებით ვერ მოახერხა შექმნა დიდი, ვრცელი და [illegible] კონცეპციის ნაწარმოებისა, როგორიც არის „ფაუსტი“, „დონ კარლოსი“, „კაინი“?! ნ. ბარათაშვილს რომ შესაფერ და ხელის შემწყობ ისტორიულს და კულტურულს პირობებში ეცხოვრა, უეჭველია იგი შეჰქმნიდა ისეთს მსოფლიო ნაწარმოებს, რომლის წინაშე კრძალვით მუხლს მოიყრიდა შეგნებული კაცობრიობა!

მაგრამ ისიც, რაც მოგვცა და გვიანდერძა პოეზიის სამფლობელოსი [illegible], კლანჭებ დაჭრილმა ლომმა და ფრთებში დამტვრეულმა არწივმა—ნ. ბარათაშვილმა,—ეგეც ცხად ჰყოფს მისი შემოქმედების ზეციურ შვილობას, ეგეც საპატიო ადგილს აკუთვნებს მას უკვდავთა შორის.

თუ ასეთი დიდი და თვალსაჩინო ზოგადის თვალსაზრისით ნ. ბარათაშვილის მსოფლიო მნიშვნელობა, თუ იგი კაცობრიობის იმ რჩეულ შვილებს ეკუთვნის, რომლებიც თავისი მაღალ გონიერებით და ღრმა გრძნობით უძღვებოდნენ და უნათებდნენ ადამიანთ სავალ გზას და თუ იგი მსოფლიო გოდების ერთი უნიჭიერესი და უძლიერესი გამომხატველთაგანია,—მაშინ მით უმეტეს დიდმნიშვნელოვანი და წარუხოცელია მისი ღვაწლი და ნამსახური მშობლიურ მწერლობაში, მით უფრო საამაყო და სადიდებულია იგი ქართველი ერისთვის.

მართლაც საჭიროა, რომ გადაჭრით ყველამ ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის შემოქმედება და რა ადგილი უნდა ეჭიროს მას ჩვენს ლიტერატურაში.

ნ. ბარათაშვილი მამამთავარია ახალი ქართულის ლიტერატურისა. იგი ინიციატორია, მოთავეა მისი გააზრიანებისა და გათვითცნობიერებისა. იგი სინიდისია, სულია ახალის ქართლისა“, მისი პიროვნება და შემოქმედება ერთგვარი სინთეზია საქართველოს ყოფილ კულტურისა, აზროვნებისა და მაღალ გრძნობიერებისა: ბარათაშვილში საქართველომ გამოამზეურა მთელი თავისი დროებით მისუსტებულ-მიჩუმებული ძალები.

მაგრამ იგი როდია მხოლოდ სინთეზი არსებულისა, ყოფილისა და განცდილისა საქართველოში,—მან აღნიშნა აგრეთვე მიმართულება ჩვენის ახალის ლიტერატურისა და უკანასკნელის მსახურთ დიდი და უსაზღვრო პერსპექტივები გადუშალა.

ნ. ბარათაშვილმა პირველმა მეცხრამეტე საუკუნეში პასუხი გასცა მწვავს პოლიტიკურს („ბედი ქართლისა“) და სოციალურს („მეფე ერეკლეს საფლავზედ“) კითხვებს. მან პოეზიის საშუალებით შესძლო ახსნა და განმარტება უმწვავესის პრობლემებისა: ცხოვრების აზრისა და ადამიანის დანიშნულებისა; პლატონისებურის ფილოსოფიურის ჩაწვდომით და გიოტესებურის აზრთა საუცხოვო ლირიზმით განმარტა სიმშვენიერის და სიყვარულის გრძნობის შინაარსი. ევროპიულ ენების და ლიტერატურის არმცოდნემ, უკეთ რომ ვსთქვათ, სუსტად მცოდნემ, მან ინტუიციით შესძლო შეგნება და შეთვისება ამ ახალის ძლიერის მიმართულებისა, რომელსაც „მსოფლიო გოდება“ ეწოდება და ბაირონისებურის სიძლიერით მოახერხა მისი გამოხატვა, გამოთქმა.

ნ. ბარათაშვილი ჩვენს ლიტერატურაში იყო პირველი მომღერალი თავისუფალი პიროვნებისა, რომელიც არავითარ დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეს და თამამად უნდა შეებრძოლოს მუხთალ ბედს — „ბოროტ სულს“. ნ. ბარათაშვილი არ იყო მხოლოდ მხატვარი, იგი ერთ და იმავე დროს მოაზროვნეც არის: იგი ანგარიშს უწევდა ცხოვრების საკითხებს და დროის მოთხოვნილებს. მგოსანი ცხოვრების ობიექტიური დაკვირვება და განჭვრეტა ჰარმონიულად სწარმოებდა სუბიექტიური განცდისა და თვითანალიზთან.

მის ლექსებში ხალისიან, ცოცხალ ბუნების აღწერას და ამ ბუნების სიმშვენიერით დატკბობას და [illegible] პირადი მელანქოლიის, სევდიანობის და ჰუნევის ძაფებით პოეტურად მოქსოვილი მუქი დრუბელი.

ამ გვარად ნ. ბარათაშვილი შემოქმედებაში შეუდარებლად შეერთებულია ობიექტიურობა-სუბიექტიურობასთან, პლასტიკა, ეპიკობა ლირიზმთან, ოპტიმიზმი პესიმიზმთან.

მგოსნის შემოქმედებაში პოტენციალურად მაინც შეერთებულია გიოტესებური წყნარი, დინჯი, ობიექტიური გონების თვალით განჭვრეტა და შემეცნება ცხოვრების ძირითადი საკითხებისა და ბაირონისებური ამბოხებული, მწველი და მტანჯველი ტიტანიური უკმაყოფილება, ურჩობა, სულის ობლობა და მარტოობა. და ეს პირველ შეხედვით უცნაური შეერთება სხვა და სხვა მოწინააღმდეგე თვისებათა არ იყო პოეტში ჰარმონიის დამრღვევი, გონების დამბნელებელი და გრძნობის ჩამხრჩობი.

ქართულს ახალს ლიტერატურაში ნ. ბარათაშვილმა შემოიტანა გარკვეული ეთიკური, ფილოსოფიური და საზოგადოებრივი მოტივები. ქართული პოეზია, რომელიც მე-XIX საუკუნეში მრუდე გზას დაადგა და რომელშიაც გაისმოდა ვარდ-ბულბულის, აშიკობის და უდარდელ დროს გატარების ჰანგები, ბარათაშვილმა გადააქცია ცოცხალ საზოგადოებრივ ძალად, შეიტანა მასში ჩქეფარე ნაკადი მოქალაქობრივი მოტივებისა. ნ. ბარათაშვილის შემდეგომ ქართველი მწერალი გარდაიქცა საზოგადო მოღვაწედ, მომქმედი, სამშობლოს ბედის გამომკვლევ მამულის შვილად.

ნ. ბარათაშვილის შემდეგ ქართველ პოეტთა „შემოქმედების ბაღი“, სადაც წინეთ ბულბულის სტვენის და შეზარხოშებულ უდარდელ მოქეიფეთა თარის ხმის მეტი არაფერი ისმოდა, გარდაიქცა „სევდის ბაღად“, სადაც დღემდის შეუწყვეტლად (და შემდეგშიაც სანამ ძირითად არ შეიცვლება პირობები ჩვენი სამშობლოს არსებობისა) გაისმის სევდიანი, მწუხარე, მაგრამ იმავე დროს იმედით გაფოლადებულ, ხმა ყველა ჩვენის მგოსნებისა. აქ, ამ „სევდის ბაღში“, იჭედება ბედი საქართველოსი, აქ თანდათანობით იმსხვრევა ამირანის ჯაჭვები; აქ იზრდება, ვაჟკაცდება ის სწორუპოვარი გმირი, რომელმაც უნდა ამოიყვანოს ბაზალეთის ტბიდგან ოქროს აკვანში ჩაკრული ყრმა—ეს ჩვენთვის სანატრელი და საოცნებო ეროვნული თავისუფლება.

აი ვინ იყო ნ. ბარათაშვილი—ეს გონების ძიების და გულის განცდის უდიდესი რომანტიკოსი; აი ვინ შეიტანა და ვინ გაამატონა ჩვენს მწერლობაში ფილოსოფიური პესიმიზმთან ერთად საღი მოქალაქობრივი მოტივი.

ია. ჯაჭარაძე.

გაძლიერებისა ხალხთა შორის კავშირისა და სოლიდარობის განმტკიცება. ამიერ კავკასიაში კი იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელსაც შემოვლილი ჰქონდეს ეს მხარე. საჭიროა ერთმანეთის შესწავლა, პატივსცემა. თუ არ არის „შენ", არ იქნება არც „მე". რადგანაც არსებობს „მე", მაშასადამე არსებობს „შენ", არსებობს სხვა ერებიც. ქართულ უნივერსიტეტის დანიშნულება უნდა იყოს აგრეთვე ერთა შესწავლა. ეს მოგვცემს საშუალებას მტკიცე კალაპოტში ჩავაყენოთ ერთა ურთიერთობა.

მოქალაქენო! ნებას ვაძლევ ჩემს თავს მივულოცო პროფესორთა კოლეგიუმს. უნდა ვუთხრა მათ, რომ მათი გზა არ არის ყვავილებით მოფენილი, იგი ნარეკლიანია. ჩვენ გვაკლია მეცნიერული ძალები, შესაფერი მოწყობილობა, იარაღები. ამ მხრივ საქმის ადვილათ და დაჩქარებით მოწყობა შეუძლებელია. ეს უნდა გავითვალისწინოთ და ქართველმა ერმა უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მცირე ჯგუფს არაფრისაგან ყველაფერის შექმნა არ შეუძლია. მე მრწამს, რომ თქვენი (პროფესორთა) ენერგია, საქმისადმი სიყვარული და მტკიცე სურვილი შეგაძლებინებთ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა. ეს უნივერსიტეტი ქართული უნივერსიტეტია, მაგრამ იგი არ არის სახელმწიფოს უნივერსიტეტი. ქართველ ერს არა აქვს საჯარო უფლებებით აღჭურვილი ორგანოები. ქართული უნივერსიტეტი მაშინ იხეირებს, როცა ქართველ ერს ექნება ასეთი ორგანოები (ტაში).

ჩვენ ვდგევართ ქართველ ერის პოლიტიკურ განახლების კართან. შორს არ არის ის დრო, როცა ქართველი ერი სხვა ერებთან ერთად მიიღებს კანონიერ კმაყოფილებას. არის ერთად ერთი თავდები, რომ ქართველი ერი გადასჭრის ნაციონალურ საკითხს ისე, რომ მან მიიღებს სხვა ერებიც, იგი გაატარებს კანტის თქმულებას, სხვასაც ის უსურვე, რაც შენთვის გინდაო. ამის თავდებია ქართველი დემოკრატია (ტაში), და თუ ეს იმედი გაგვიცრუვდა, მაშინ, ვიტყოდი მე, ვაი ჩვენ... ქართველი ერი განიცდის საბედისწერო ჟამს, სულ ახლოს არის უფსკრული, სადაც შეიძლება იგი გადაიჩეხოს. ასეთ მდგომარეობაშია რუსეთის ყველა ერები. დღევანდელი ანარქია, სამოქალაქო ომი, უიმედობა მომასწავებელია იმის, რომ დადგება განკითხვის დღე და ვფიქრობ, ქართული უნივერსიტეტის გახსნა სიმბოლიური მოვლენაა. ჩვენ აქ დღეს ვზეიმობთ ქართველი ერის ბედი კი განსაცდელშია. განსაცდელშია როგორც ობიექტიური ისე სუბიექტიური მიზეზების გამო. ჩვენ თითქოს გვაკლია თავის მდგომარეობის შეგნება. მე მესმის, როცა ვკითხულობთ ჩვენს ისტორიაში, ამა და ამა მეფემ თავის რაზმით შეუტია მტერს სამშობლოს დასაცავათ, მაგრამ მტერი ათჯერ მრავალრიცხოვანი და ძლიერი აღმოჩნდა და დაამარცხა იგიო. ასეთი მდგომარეობა მირჩევნია მე იმ მდგომარეობას, როცა ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენილი განსაცდელი. დამარცხება არ არის საშიში მაშინ, როცა ერს ესმის განსაცდელი. ხოლო თუ იგი მოულოდნელად დამარცხდა, მაშინ დაემხობა კიდეც.

ქართული უნივერსიტეტის უწმინდესი მოვალეობაა ემსახუროს დემოკრატიის კანონიერ მოთხოვნილებებს, იგი უნდა დაუახლოვდეს ხალხს. თუ წინათ ეროვნული კულტურა ვიწრო ჯგუფისთვის იყო ხელმისაწვდომი, დღეს ეროვნული კულტურა მხოლოდ მაშინ არის ეროვნული, როცა მთელი ხალხისთვის ხელმისაწვდომი გახდება. არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება. ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება დაეწაფოს მეცნიერებას. მეცნიერება უნდა იყოს დემოკრატიის დამცველი. დემოკრატიისა და მეცნიერებას-შორის [illegible]ებული კავშირი უნდა იყოს დაცული ქართულ უნივერსიტეტში. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ქართულ უნივერსიტეტის ხელმძღვანელები პირნათლათ შეასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას. (ხანგრძლივი ტაში).

## სიტყვა

თქმული მისი უწმიდესობის კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ II მიერ 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღეს.

„მოგვეც ჩვენ უფალო გული ბრძენი და გონიერი" (3 მეფ. III, 12).

ცოდნის და მეცნიერების მიმდევარნო! დღეს შევიკრიბენით ამ წმინდა ტაძარში, რომ გამოვითხოვოთ ღვთისაგან კურთხევა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის. ამ ძვრა-რყევა და სიყმილის დროს ჩვენ შესაძლოთ დავინახეთ საძირკველი ჩაეყარათ ქართულ მაღალ კულტურულ დაწესებულებას, რომელმაც უნდა შეიტანოს მეცნიერების შუქი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის სიამაყეს. ეხლა თქვენს ხელშია ბატონო პროფესორნო ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენ ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით. განა ამ ორიოდ-სამი წლის წინად შეგვეძლო ამის წარმოდგენა?! ჩვენი გენიოსის ნათქვამისა არ იყოს: „კეთილმან სძლია ბოროტსა, სიცოცხლე მისი გრძელია".

ვგონებ, შემთხვევით არ მოხდა ქართული უნივერსიტეტის გახსნა დღევანდელ დღეს, როდესაც ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს წმ. მეფე დავით მე-3 აღმაშენებლის ღვაწლს. ამან აღადგინა ეკონომიურად საქართველო, გაძლიერა და დანერგა კულტურაც. განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა, იგი მფარველობას უწევდა მეცნიერებას, აავსო მეცნიერი ხალხით თვისი სასახლე, რომელიც წარმოადგენდა სამეცნიერო აკადემიას და მან პირველმა ქართველთა გვირგვინოსანთა შორის ჩაჰყარა მყიდრი საძირკველი აკადემიისა იყალთოს მონასტერში.

ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ მუდარებელი ხალხი. კაცი შექმნილია სინათლისთვის და თვით ბუნებისგან ჩანერგულია მასში ღვთიური ნიჭი—ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად. გილოცავთ ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელნო და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოთ ჩვენი ერისა. განათლებით ირჩევა კაცი კაცისგან. იგი ფასდაუდებელი საუნჯეა, რომლის შეძენას ბევრი დრო, მოთმინება და ცდა უნდა. განათლებას ფასი და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როცა მას რიგიანათ გამოვიყენებთ.

სარწმუნოება არას დროს მტრულად არ უცქეროდა მეცნიერებას და ამიტომ იგი მუდამ ეძღვნებოდა სარწმუნოებებს, მაგ. ქალდეაში, ასურეთში, მისრეთში, ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებშიაც. ქურუმები მუდამ ესარჩლებოდნენ მეცნიერებას და თვითონაც ერთად-ერთი მისი წარმომადგენლები იყვნენ. ქრისტიანობის ხანას, როდესაც მან მიიღო სარწმუნოებრივი უფლება, თავსაფარად ჰქონდა ქრისტიანული მონასტრები, რომლებშიაც გაჩაღებული იყო სწავლა-განათლება. ნამდვილ სამეცნიერო კერებს წარმოადგენდნენ ჩვენი ლავრები და მონასტრები: დავით გარეჯის ფიბაიდა, იოანე ნათლისმცემლის უდაბნო, იყალთო, გელათი და სხვ.. საშუალო საუკუნეებში, როდესაც მეცნიერებას დაუდგა მეტად ბნელი ხანა, როდესაც მისი არსება ბეწვზედ ეკიდა და ყველას ეგონა, რომ მისი შუქი სამუდამოთ ჩაჰქრებოდა, მხოლოდ ბერების მოღვაწეების წყალობით, არ ჩაჰქრა იგი: ფილოსოფიის ქვის ძებნის გამო ბერებმა ბევრი რამ კაცობრიობისთვის სასარგებლო აღმოაჩინეს, გამოიგონეს და მით მეცნიერება დაიფარეს.

სულით და გულით ვისურვებ, რომ ამ ჩვენ ქართულ ნორჩ უნივერსიტეტში მალე გახსნილიყოს ყველა განზრახული ფაკულტეტები და მიჰმატებოდეს მას სადვთისმეტყველო ფაკულტეტიც, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში არის მოწყობილი. იყავნ, იყავნ. ამინ!

## სიტყვა

თქმული გიმნაზიის ეკლესიაში კათალიკოზის შეხვედრისას, 1918 წლის იანვარს 26.

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო, მამათ-მთავარო! ამ ტაძარს, რომლის საყდარზედაც შენ ისწრაფი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას, მეოხად ჰყავს აფხაზ-ქართველთა მეფე წმიდა დავითი. პატარა ქართველთა უახლოეს მფარველად შემთხვევით როდია არჩეული მეფე-აღმაშენებელი. მომავალის თაობის აღმზრდელთა და ზრუნველთა გულითა ხმამდათ და პირით აღიარებდენ, რომ წმ. დავითის მადლით, მის მიერ ერთხელ აღშენებული საქართველო კვლავ აღშენდებოდა და აჰყვავდებოდა.

სასოება ესე, მიუხედავად ჩვენ ზედა მოვლინებულის ცეცხლისა და მახვილისა, სიყმილისა და სვრისა, თანდათან გვიძლიერდება,—წმიდის დავითის სახლსა ამას შინა დასადგურების შემდეგ საქართველომ იწყო შენება: ასეულის წლის ტყვეობაში ყოფილი საქართველოს ეკლესია კვლავ თვით თავადი გახდა, ნაწილ-ნაწილად დაყოფილნი და დაქსაქსულნი ძენი მისნი ურთიერთთან შეთანხმდნენ და საქართველოს დამფუძნებლის კრების სამზადისში არიან, გადაგვარებული სკოლა მოეგო თავსა თვისსა და დღეს ქართულის უნივერსიტეტის საფუძვლის ჩაყრით დაგვირგვინებულ იქნება, მოკლედ,—ისტორია მეორდება და დავით აღმაშენებლის დრო გვიბრუნდება...

მხიარულ იყავ, კვლავ თვით თავადის ეკლესიის საჭეთ-მპყრობელობით სამშობლოს განთავისუფლების წინამორბედო, კადნიერებით შემოვედ სავანესა ამას დავით აღმაშენებელისასა და გულმოდგინედ შევევედრე ყოვლის შემძლებელს, რომ მოვესწრნეთ წმიდის თამარის დროის მოსვლასაც. ამინ.

დეკ. ა. ცინცაძე.

## ჟურნალ „პრომეთეს" განცხადება

1) რედაქციას მოსდის თანამშრომელთა შეკითხვები თარგმანების დაბეჭდვის შესახებ.

ჯერჯერობით პირველ ნომერში თარგმნილ ლიტერატურას ადგილი არ დაეთმობა, რადგან ჟურნალის უპირველეს დანიშნულებას შეადგენს გამოაქვეყნოს ორიგინალური სალიტერატურო და სამეცნიერო გამოკვლევანი მონოგრაფიები, ორიგინალური სიტყვაკაზმული ლიტერატურის მონუმენტები, როგორც ახალი ისე ძველი ქართული მწერლობიდან.

დღეს სასტამბო პირობები ისე გართულებულია, რომ შეუძლებლად მიგვაჩნია ჟურნალის გადიდება.

2) ჟურნალის რედაქცია ამიერიდან დიდ ყურადღებას მიაქცევს ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, რომელნიც უპატრონოთაა გაბნეული და თუ დროზე მომვლელი არ გამოუჩნდება დიდძალი მასალა დაეკარგება როგორც ქართული ხალხური ხელოვნების ისე კულტურის მეისტორიებსა და მკვლევარებს. ხალხური ზეპირ-გადმოცემების, ზღაპრების, ანდაზებისა და შაირების შეკრებას უდიდეს ყურადღებას აქცევენ კულტურულ ქვეყნებში, რადგანაც ეს ერთად-ერთი ფუძე და ზედ საყრდენია ინდივიდუალურ ეროვნულ შემოქმედებისა.

ამ მიზნისათვის განზრახული გვაქვს საგანგებო განყოფილება შემოვიღოთ ჟურნალში. ამ განყოფილებაში დაიბეჭდება; ჯერ გამოუქვეყნებელი ვარიანტები ამირანისა და სხვა საზღაპრო გმირებზე თქმულ შაირებისა და ზეპირ- ოცემისა. ამავე განყოფილებაში დაიბეჭდება ნიმუშები როგორც ხალხური ეპოსისა ისე, ლირიკული შაირები, ზმები და ხალხური ანდაზები.

ამ მიზნისათვის რედაქცია მოუწოდებს ყველას, ვისაც ქართული კულტურა უყვარს და ამ ძვირფასი საგანძურის მომავალზე ზრუნავს, ჩაწერონ ასეთი ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა, რისთვისაც შესაფერ ჰონორარს მიიღებენ.

ჩაწერის დროს ჩამწერმა, ან შემკრებმა არავითარი ცვლილება არ უნდა შეიტანონ.

რედაქცია სთხოვს დაინტერესებულ პირებს, ყურადღება მიაქციონ თქმულებას ამირანზე და მოგვაწოდონ სხვათა-შორის ჯერ გამოუქვეყნებელი ვარიანტი ამ თქმულებისა.

3) ხოლო რაც შეეხება ჟურნალ „პრომეთეს" პროვინციის აგენტების შეკითხვებს აგენტურის შესახებ მათ დაეთმობათ განსაკუთრებული პროცენტი, მხოლოდ აგენტებს.

რამდენიმე თვიური ცალის დაკვეთა შეიძლება „განათლების" აგენტურის საშუალებით. ან არა და მსურველმა რედაქციას უნდა გამოუგზავნოს წინდა-წინ ჟურნალის სასყიდელი და ფოსტით გაეგზავნებათ.

ამ მოკლე ხანში ვეცდებით რომ ჟურნალის ყიდვა შეიძლებოდეს საქართველოს ყველა რკინის გზის სადგურებთან არსებულ „კიოსკებში" და „განათლების" აგენტებთან.

4) დასასრულ ჟურნალი „პრომეთეს," რედაქცია აცხადებს, რომ დაწუნებულ მასალების შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს ავტორებთან. დაწუნებული მასალა, ისე დაბეჭდილ მასალების დედნები მხოლოდ 3 თვის განმავლობაში ინახება რედაქციაში.

პატივისცემით: ჟურნალ „პრომეთეს" სარედაქციო კოლლეგია.

ტფილისი. ფოსტის ყუთი № 190.

## წერილები რედ. მიმართ

(დასასრული)

ალექსანდრე ეპისკოპოსი გადააყენეს; მის ნაცვლად „თავადი დავით არობელიძე" ანუ აწ უკვე საკმარისად ცნობილი რენეგატი ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე გაამწესეს. ამასთან მე ერთი დღე არ მიმსახურია არც ფოთში და არც თბილისში. ალექსი არქიელს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იყო, დეპეშით მოვთხოვე ბათუმშივე გავჰყოლოდი კათედრას. ამის საპასუხოდ კი მივიღე პეტერბურგიდგანვე მის კანცელიარიის მმართველის ტრულინისაგან 27 ნოემბრის თარიღით 1903 წლის № 821 ოფიციალი ცნობა, რომ „ალექსი ეგზარხოსის რეზოლიუციით შენ (მე) დანიშნული ხარ თბილისის დიდუბის ეკლესიის მღვდლათ". ამ დოკუმენტსაც რედაქციას წარვუდგენ. ვოსტორგოვი კი მაშინ თბილისში იყო, დიდუბე მას, ვიცით, სხვისთვის უნდოდა!.. კათედრა კი დღესაც ფოთშია 1904 წლის რუსეთ-იაპონიის ომის გამო. „არობელიძე" ფოთიდგან ჩოხაში გადაცმული გააპარეს.

ვოსტორგოვის ბატონობის ხანაში თბილისში მე ვმსახურებდი 1904 წელს და 1905 წლის დასაწყისში, სანამ ისიც არ გაიპარა საქართველოდგან. თუ როგორი ღირსებით მეჭირა მასთან თავი, ამას დაამოწმებენ დიდუბის სკოლის მასწავლებელი ქალები ლ. ეგაძე და მართა ჩაგუნავა. ეს უკანასკნელი 1904 წელს მე დაუშვი რწმუნებულ ჩემდამი სკოლაში მასწავლებლად და შემდეგ წარვადგინე საბჭოში დასამტკიცებლად. აქ წინააღმდეგ ვოსტორგოვ-ოდოევი, ამათ ვიღაც კოვალსკაია სურდათ ჩემთვის დაენიშნათ, ამიტეხეს შეტაკება, მიიმხრეს მთელი საბჭო, მაგრამ არ დავსთანხმდი და კერძო პროტესტით შევედი „სოოლქო საბჭოში",—ვოსტორგოვის სამფლობელოში. ქნ. ჩაგუნავა კი დღესაც დიდუბის სკოლაში მსახურებს. ეს კარგად მოეხსენება ბ. ნ. დ. მახათაძესაც.

„1905 წელს ქართველი სამღვდელოება თავის სეპარატიულ კრებაზე დეკ. ნ. თალაქვაძეს არ ინდობდაო",—სწერს ნაზარი. არ ვიცი, როგორ ჰბედავს ის ასეთს ცილისწამებას ჩემზე „ქართველ სამღვდელოების" წინაშე?! პირიქით, რაც კი მზადდებოდა 1905 წელს სამღვდელოებაში, არც ერთი არ იყო ჩემთვის დაფარული, თუ გინდ იმ ნიშნით, რომ ავტოკეფალიაზე ერთ პატარა „თხზულების" გამოცემაშიაც კი ნივთიერი მონაწილეობა მივიღე! აბა ჰკითხეთ ავტორსა?! გარნა როდესაც 31 მაისს 1905 წელს ჩვენს სამღვდელოებას სისხლი ადინეს, მაშინ „ქართველმა სამღვდელოებამ", მღ. ქრ. ციცქიშვილთან ერთად, თვის პირისუფლად გამგზავნა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვთან, სულთან კრიმ გირეისთან და ქალაქის თვითმართველობასთან. შემდეგ იმავ სამღვდელოებამ თვისს ყველა დაწესებულებებში დეპუტატად ამომირჩია—სემინარიაში, სანთლის ქარხანაში თუ სხვაგან. „შეგნებულნი" კი ისევ თავიანთ ძველ სოროში მიიყუჟნენ. მას შემდეგ მოვდივარ და მოვსდევ ჩვენს სამღვდელოებას ვიდრე აქამომდე! ეს „უნდობლობაა"?! ის კი მართალია, რასაც ნაზარი მაბრალებს: „თბილისის ქართველ სამღვდელოების შეგნებულ ნაწილს სიცოცხლე გაუმწარაო"! მას შემდეგ, რაც ამ „შეგნებულმა ნაწილმა" 1906 წელს, სექტემბერში განსვენებულ პეტრე ეპისკოპოზის თავმჯდომარეობით სინოდალურ კანტორის შენობაში, თბილისის ქართველ სამღვდელოების მრავალრიცხოვან კრებაზე, ერთმანეთს „იუდები" უძახეს,—ამეხილა თვალები და იმავ წლის ოქტომბერში უარი განუცხადე ერთ-ერთ „შეგნებულთაგანს"—მონაწილეობა მიმეღო იმ „გრუპპაში", რომელმაც „შეითხზა" ვოსტორგოვისებური პროექტი, ჩვენში „სამიტროპოლიტო ოლქის" დაწესებისა. „მიტროპოლიტი" კი რუსი იქნება, ოსი, ბერძენი თუ ქართველი, სულ ერთიაო", სწერდნენ „მინიე გრუპპის" სამღვდელონი! ამ „ნაწარმოებს" ჰქვია სახელად „мнѣніе группы духовенства".

ამ „დოკუმენტის" ისტორია კარგად მოხსენება იმ დროს სოხუმის ეპისკოპოს კირიონს, აწ ივერიის ეკლესიის კათოლიკოზ-პატრიარქს და იმერეთის ეპისკოპოზ ლეონიდეს, აწ თბილელ მიტროპოლიტს...

ამ „დოკუმენტის" ავტორებმა ის-6 და 11 მარტის კრებაზე-ეს თავი წამოჰყვეს 1916 წლის დაც, თბილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო დარბაზში მეფის ნაცვლის წინადადებით მოწვეულ საზოგადო მოღვაწეების წინაშე, როდესაც ჩვენში ისევ ლაპარაკი გაისმა „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქზე". ამ ჟამად „საეგზარხოსოს" გამოქომაგნენ „შეგნებულნი", ვითომცა „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქში" არ ავითქვიფოთო; იმ „პირობით კი, თუ ეგზარხოსსაც, მთავარ-ეპისკოპოსის მაგიერ, მიტროპოლიტის ხარისხი მიენიჭება, მაგრამ ის იქნება მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა, სრულიად საქართველოს ეგზარხოსიო". მძიმე „პირობები" კი დაუდეს ეგზარხოსს პლატონს, რომელიც ჩვენი ხელიდან ჰლამობდა „თეთრი ბარტყულის" მიღებას!.. ყოველივე ეს იყო გახვეული მეცნიერულ სამოსელში და „დროებით", „ვიდრე საკითხი საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებათა აღდგენისა ჯერ არ გადაწყვეტილაო". მაგრამ ერთი სიტყვითაც, გაკვრითაც კი, არ სწერენ, თუ როდისთვის აპირებენ „უფლებათა აღდგენის გადაწყვეტას"! ასე შეანზადეს 6 და 11 მარტის ზემო-აღნიშნული კრებები „შეგნებულებმა" (იხ. „საქართველო" 1916 წ., 5 მარტი № № 51 და 10 მარტისა № 55). როდესაც 6 მარტის კრებაზე გავილაშქრე ამ „პირობების" წინააღმდეგ და საკითხის რადიკალურად წამოყენება მოვითხოვე,—ერთმა პატივცემულმა ერისაგანმა მეგობრულად მითხრა: „გაგიკრავენ ხელ-ფეხს და გაგგზავნიან ციმ ქვეყანაშიო",—მეორე არა ნაკლებ პატივცემულმა ერისაგანმაც ამას დასძინა: „მამაო ნიკიტა, მოიგონე გენათელი და ქუთათელიო"... არც ერთი ამ კრებების ანგარიში პრესაში არ ყოფილა, თუმცა 11 მარტის კრებაზე სამი გაზეთის წარმომადგენლებიც იყვნენ მოწვეული. კომენტარიები მგონი მეტია...

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ „შეგნებული ნაწილი თბილისის ქართველ სამღვდელოებისა" იმანაც უფრო „გაამწარა", რომ 1917 წლის, 12 მარტის აქტი მოულოდნელად დაატყდათ თავს და ამასაც სხვათა შორის, მე მაბრალებენ და ვერც მაპატიებენ, ვიცი მაგრამ ღმერთია მოწყალე...

„ცნობილ გრაფინია ვორონცოვა-დაშკოვასთანაც" ღირსებით მეჭირა თავი. მაგალითად, როდესაც არქიელმა ინოკენტიმ ეპ. პიმენ და იეროფეი—ნაზარ არქიმანდრიტების „მოსაგრეობით" (ეს ვუწოდე მე არქიმ. ნაზარს ნ. ძიძიშვილის კაბინეტში), დიდუბიდან გადმომაგდო, არ ვიკადრე ხსენებულ გრაფინიის მფარველობისათვის მიმემართა; სინოდში ვიჩივლე, მრევლიც და მთელი პრესაც გამომექომაგა. ეხლა კი არქიმ. ნაზარი დიდუბის საქმეზე დამცანის,—„კამილავკას" და ინსტიტუტის უბადრუკ გაკვეთილებს მაყვედრის! ვერ გამიგია, რატომ?! თუ თვითონ და მის ზურგს უკან ამოფარებულნი „შეგნებულნი" ლენტ-ბანტებით და ორდენებით იყვნენ აჭრელებულნი, მე „კამილავკის", ან „დიდუბის", ან „გაკვეთილების" ღირსად რატომ არ მთვლიდნენ ნეტავი?! რატომ სამშობლოდან არ გადააკარგვინე თავიო?! ვინც გადაჰკარგეს, მოიგონეთ, იმათ დაბრუნებაზე როგორ იზრუნეთ?! ურბნისის ეპისკოპოსის არჩევნები 17 ენკენისთვეს 1917, და რადა ღირს ამის დასასურათებლად, მაგრამ ამ ჟამად ესეც კმარა. ცოტა რამ არქიმან. ნაზარის „საგანგებო გამოცემისათვისაც" შევინახოო...

სამღვდელოთ სამართალში არქიმ. ნაზართან გასვლა მაინც მეტად მიმაჩნია და თუ, როგორც სწერია, ამისთვის „პრაქტიკულად, ფიზიკურად, არ გამისწორდება" ჩემი „რაინდი" არქიმანდრიტი და მისი „მფარველნი, ხომ კარგი, თორემ ამაზედაც იყოს ნება ღვთისა. შარშან, 12 აგვისტოს, ჟანდარმეებმა მაწამეს, ეს მგონი, არქიმ. ნაზარსა და ეგზარხოს პლატონსაც კარგად უნდა მოეხსენებოდეთ, — წელს ცემა-ტყეპასაც შესწრებიან! მიკვირს, რა ჩემი [illegible]...

დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს საქმეს:

„1917 წ. 22 ქრისტეშობისთვის შემდგარ თბილისის სამღვდელოებისა, მნათეთა და სამრევლო საბჭოთა წარმომადგენლების შეერთებულმა კრებამ მოისმინა მღვდელ ი. შურღაძის რიგგარეშე მოხსენება არქიმ. ნაზარისა და და დეკანოზთა—მ. ტყემალაძის და ნ. თალაქვაძის შორის ატეხილ დავიდარაბის შესახებ.

კრებამ იქონია ამ საკითხზედ ყოველმხრივი მსჯელობა და დაადგინა შემდეგი:

„ვინაიდგან არქიმ. ნაზარისა და დეკ. მ. ტყემალაძის, როგორც წარსულს ისე დღევანდელს ნამოქმედარში არავის არაფერი ისეთი არა ეგულებარა, რომ მათ სამშობლოისა, ეკლესიის და ერის წინაშე რაიმე დანაშაულობა მიუძღოდეთ, სამართლიანობისათვის საჭიროდ იყოს ცნობილი, რათა მათ გამოეცხადოთ სრული ნდობა; ხოლო ამის გამო კი რომ შინაური უთანხმოება შინაურადვე ვერ მოისპო და, პირიქით, პრესის საშუალებით კიდევაც გართულდა მათი ურთიერთობა—დიდი მწუხარება".

არქიმანდრიტი ნაზარი.

რედაქტორი [illegible].

## კალენდარი

ოთხშაბათი, იანვრის 31

ქართვ. წმ. საკვირველმოქმედთა კვიროსისა და იოანესი.
კათოლ. წმ. პეტრე ნოლასკელისა.
სომეხ. მარხვა.
მაჰმად. ჩარ-შამბე 1 რ. ჯემადულ-ევველ 1336 წ. ჰიჯრისა.
ებრაელ. იომრევიყი 1 რ. ადარისა 5678 წ. ქვეყ. შექმნ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა (დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 5, | 11,32 დილ. |
| | სამგზ. | № 9, | 11.28 სად. |
| ხაშურ-ბორჯომის. | | № 19, | 3.17 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 სად. |
| საქარასკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 სად. |
| „ | | № 61. | 8,18 დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანკამდე). |
| „ | | № 63.4, | 48 ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.38 დილ. |
| „ | საფ. | № 6, | 7,41 სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.57 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10 26 დილ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10 20 სად. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 7. 58 დილ. |

## კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6.24 წუთ.

## საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხიარული ავადმყოფებისთვის

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელაშვე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბთ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო, ყოველდღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ღებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.

100—920—77



ეროვნული ბიბლიოთეკა